"მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 3 (247) 30 მარტი, ოთხშაბათი, 2016 წელი; ფასი 1 ლ.

უპრეცედენტო შეხვედრა



## მაჟორიტარი დეპუტატი ქალაქისა და ქვეყნის ინტეგრაციის მედიატორი ეკა ბესელია ფოთელების წინაშე სამი წლის ანგარიშით წარსდგა

მე-2 გვ



ამასწინათ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვიცე - მერმა ბატონმა **ლევან ჩოჩიამ** და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბატონმა **ზვიად შუბითიძემ** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურს ახალი უფროსი ქალბატონი **ნინო პაჭკორია** წარუდგინეს.

წარმატებებს ვუსურვებთ ქალბატონ ნინოს.

ტურიზმი

ფოთის ტურიზმის განვითარების ცენტრსა და კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა

(მე-3 გვ)






## რით არის ფეხმძიმე საქართველო? ქვეყანა, რომელიც სექსით ვაჭრობს

მე-3 გვ

ქველმოქმედება



## გვერდში დავუდგეთ ვასილ ქითანავას

მე-3 გვ

დღესასწაული

## ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრში საზეიმოდ აღინიშნა 27 მარტი- თეატრის საერთაშორისო დღე

მე-4 გვ



პეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან

ლიკა ცაავა-დიდ ასპარეზზე

## ფოთელი ნორჩი პიანისტის წარმატება

მე-4გვ





65 წლის იუბილის შესახვედრად

## ახმედ ამბალია - ქართული ხელოვნების მესაიდუმლე ღირსეული მოღვაწის შემოქმედებითი ცხოვრება

მე-6 გვ



## საქართველო- ჩაკლიტული სკივრი ცნობიერების

მე-6 გვ

კაცი, რომელსაც არაფერი შეშლია

## გარი ჟღენტს 23 მარტს 90 წელი შეუსრულდებოდა

მე-7გვ



ფეხბურთი

პარკი არენა

ფოთი 13 მარტი

საქართველოს პირველობა XX ტური

„კოლხეთი-1913" ფოთი-„ტორპედო" ქუთაისი

2 : 0

მე-8გვ

## უპრეცედენტო შეხვედრა

# მაჟორიტარი დეპუტატი ქალაქისა და ქვეყნის ინტეგრაციის მედიატორი ეკა ბესელია ფოთელების წინაშე სამი წლის ანგარიშით წარსდგა



**ეკა ბესელიას** პოლიტიკური ცხოვრების გზა ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდს დაემთხვა- სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი, ეს იყო სახიფათო გზა, მაგრამ ქალბატონი ეკა გამოდგა ,,კაცი რომელმაც გაბედა", დიახ, მან გაბედა და თავი გადადობოლომდე მიეყვანა ამ დანაშაულებრივი რეჟიმის სისტემური კვლევა, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა დაამტკიცა ამ მანდატის სიცოცხლისუნარიანობა, თუ მართლა გული შეგტკივა ქვეყანაზე და ნამდვილი პოლიტიკოსი ხარ, ასევე აღსანიშნავია მისი კომიტეტის რეფორმატორული საქმიანობა.

ვალერიან გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში, ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ **ეკა ბესელიამ** ქალაქის მოსახლეობას თავის საქმიანობის სამი წლის ანგარიში წარუდგინა. ანგარიში 2012–2015 წლის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსა თუ კომიტეტის საქმიანობის შესახებ საათ-ნახევრიან პრეზენტაციაში აისახა. ასევე სპეციალურად ამ დღისთვის გამოიცა სამწლიანი საქმიანობის ბეჭდური ვერსია, რომელშიც გარდა ძირითადი საქმიანობისა, ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანი პროექტებია შესული, რომელიც სამი წლის განმავლობაში **ეკა ბესელიას** ინიციატივითა და პატრონაჟით განხორციელდა. **ეკა ბესელიამ** მადლიერების სიგელებითა და სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოვა ის ადამიანები, ვინც ბიუროსა თუ კომიტეტის ნაყოფიერად მუშაობაში და მნიშვნელოვან საქმიანობაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. დეპუტატმა ტიტებით მიულოცა ღონისძიებაზე მყოფ ყველა ქალბატონს ქალთა საერთაშორისო დღე. ღონისძიება **NDI**-ს მხარდაჭერით განხორციელდა, საღამოს კულტურული ნაწილი დიდი კონცერტით გაგრძელდა ,რომელსაც ფოთის მოსახლეობა, ქ, ფოთის მერი **ირაკლი კაკულია,** საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე თოფურია**. საქართველოს პარლამენტის დეპუტატები: **ზვიად კვაჭანტირაძე, გიორგი ვოლსკი,ოთარ ჩრდილელი,თემურ ჭკუასელი, თემურ ნერგაძე, სოსო დანელია, მერაბ კაჭახიძე** და სპეციალური მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ფოთის არცერთ მაჟორიტარ დეპუტატს მსგავსი ღონისძიება არ ჩაუტარებია, პოლიტიკაში პოლიტიკოსები უნდა იყვნენ, მაჟორიტარი იქნება თუ პარტიის წარმომადგენელი.

**საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012-2015 წლის ანგარიში:**

**საქმიანობა:**
* საკანონმდებლო საქმიანობა;
* საპარლამენტო კონტროლი;
* რეაგირება ადამიანის უფლებათა დარღვევაზე (მოქალაქეთა განცხადებებისა და მომართვების საფუძველზე);

**პრიორიტეტები:**
* თავისუფლებაღკვეთილ პირთა უფლებების დაცვა;
* შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა;
* ბავშვთა უფლებების დაცვა;
* ქალთა უფლებების დაცვა;
* სოციალურად დაუცველი მოქალაქეების უფლებათა დაცვა;
* კომფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვა;
*უმცირესობათა უფლებების დაცვა;
* დევნილთა უფლებების დაცვა;
* ეკომიგრანტთა უფლებების დაცვა;
* სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია.

**2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი ,,ამნისტიის შესახებ"**

**ამნისტიის შედეგად:**
* საპატიმრო სასჯელისაგან განთავისუფლდა 190 პოლიტიკური პატიმარი და 25 პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირი;
*საპატიმრო სასჯელისაგან 2013 წელს გათავისუფლდა 8561 მსჯავრდებული;
* საპატიმრო სასჯელი გაუნახევრდა 769 მსჯავრდებულს;
* საპატიმრო სასჯელი სეუმცირდა 82031 მსჯავრდებულს.

**2013-2014 წლებში სულ:**
* სასჯელისაგან განთავისუფლდა 8776 პირი;
* საპატიმრო სასჯელის შემსუბუქება ჯამში შეეხო 17729 პირს;
* პირობითი მსჯავრი მოეხსნა 17 887 მსჯავრდებულს;
* პირობითი მსჯავრი გაუნახევრდა 2809 მსჯავრდებულს;
* მსჯავრი შეუმცირდა 8526 მსჯავრდებულს.

**2013-2014 წლებში სულ:**
* პირობითი მსჯავრი მოეხსნა/შეუმცირდა
29 222 მსჯავრდებულს.
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირების მიერ.

**კომიტეტის მიერ დანერგილი სიახლე**
*კომიტეტმა 2013,2014 და 2015 წლებში პირველად მოამზადა საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტები- საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, რომლებიც მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ.

**მოქალაქეებთან შეხვედრები**

**მაჟორიტარ დეპუტატთან მოქალაქეების შეხვედრის ორგანიზებას ახდენს მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო. მაჟორიტარი დეპუტატი, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისად რეაგირებს მოქალაქეთა განცხადებებსა და ზეპირ განმარტებებზე.**

,,მომავლის ინვესტიცია"- ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსა და დონორი კომპანია ,,PETROGAZ ENERGI GOUP" -ის ერთობლივმა პროექტმა, რომელიც 2013 წელს განხორციელდა, ასობით ფოთელ მოსწავლეებსა და ახალგაზრდას მისცა შესაძლებლობა უფასოდ შეესწავლა ინგლისური ენა და ინფორმაციული ტექნოლოგიები.

აღნიშნული სგანმანათლებლო, საქველმოქმედო პროექტის ფარგლებში 414-მა კურსდამთავრებულმა წარმატებით გაიარა სწავლება და გადეცათ შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

მათგან 33 დევნილი, ხოლო 22 სოციალურად დაუცველია.

პროექტის ფარგლებში გარემონტდა სასწავლო ცენტრი, აღიჭურვა თანამედროვე ინტერიერით. სასწავლო ცენტრს მფლობელობაში გადაეცა 10 პერსონალური კომპიუტერით.

ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა და ,,SMART GEO GENERAL TRADING" კომპანიის წარმომადგენელმა, ინვესტორმა **მუჰამედ ფარშჩიმ** ფოთის სამშობიარო სახლსა და პოლიკლინიკის რეანიმაციულ განყოფილებას სასუნთქი აპარატები უსასყიდლოდ გადასცეს.

არასმთავრობო ორგანიზაცია ,,საზოგადოებრივი აზრის" ინიციატივით ფონდ ,,სიცოცხლის ხის" დახმარებითა და მაჟორიტარ დეპუტატ **ეკა ბესელიას** მხარდაჭერით, 2014 წელს ფოთში მცხოვრებ 17 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ეტლები გადაეცა.

2012 წლის წინა საარჩევნო კომპანიის პერიოდში ფოთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ეკა ბესელიას ერთ-ერთი მთავარი დაპირება ფოთელ ომრჩეველთა თეატრის მშენებლობის დასრულება იყო. მან პირობა შეასრულა...

შემდეგ მაჟორიტარი პირადად შეხვდა მსახიობთა დასს. თეატრის მშენებლობის დასრულებას თავად ჩაუდგა სათავეში და ყოველ შაბათ-კვირას მშენებლობაზე ატარებდა. 2014 წლის 30 მაისს ფოთში გრანდიოზული დღესასწაული შედგა. ფოთის თეატრის ახალი შენობა საქართველოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** და ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ეკა ბესელიამ** გახსნეს და სრულიად საქართველოს თეატრალური საზოგადოებასა და პირველ რიგში, ფოთელ მაყურებელს მიულოცეს ეს მნიშვნელოვანი დღე.

**ეკა ბესელიას** ინიციატივით, საქართველოს პარლამენტმა, მუზეუმის დირექციის სახელით ოფიციალურად მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ისტორიული შენობის რეაბილიტაციის დაჩქარების თხოვნით. კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით, ფოთის მუზეუმში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფი იქნა მივლინებული. ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე მომზადდა დასკვნა. დსაკვნის მიხედვით აქცენტი გაკეთდა გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებზე, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კოლხური კულტურის მუზეუმის გადასარჩენად. დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მუნიციპალური ბიუჯეტიდან მუზეუმის შენობის რეაბილიტაციისათვის გამოყო 27 730 ლარი. 2015 წლის 1 მაისს საამნშენებლო კომპანია ,,GP COMPANI"-mა შენობის სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო. კულტურული ძეგლის რაბილიტაცია გასული წლის ივლისის თვეში დასრულდა.

ორაგნიზაცია ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის" წევრები წლების განმავლობაში აქტიურად აყენებდნენ კოლხური კოშკის რესტავრაციის საკითხს. როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების წინაშე. თუმცა მათ მოთხოვნას ქმედითი რეაგირება არ მოჰყოლია. **ეკა ბესელია,** 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, პირადად დაინტერესდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობით. გაიმართა შეხვედრა მაჟორიტარსა და ფაზისის აკადემიის წევრებს შორის და შედგა შეთანხმებაც კულტურული ძეგლის გადარჩენისათვის ერთობლივი, კომპლექსური კომპანიის წამოწყების თაობაზე.

ძალისხმევამ შედეგი გამოიღო 2014 წლის 13 ნოემბერს ნიკოლაძის 170-ე წლის იუბიულესადმი მიძღვნილი ღონიძიების ფარგლებში, კოშკის სარეკონსტრუქციო - სარეაბილიტაციო პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის განხილვისას დეტალურად ისაუბრეს ნიკო ნიკოლაძის კოშკის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, რესტავრაცია - რეკონსტრუქციის მნიშვნელობაზე, პროექტის ძირითად მხარეებზე, კონსერვაციისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავარ პრინციპებზე. კოშკის სრული რეაბილიტაციისთვის სახელმწიფომ 470 000 ლარი გამოყო.2016 წელს დაგეგმილია კოშკის სრული რეაბილიტაცია.

ფოთში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერითა და აზიის ბანკის დაფინანსებით 37 მილიონიანი პროექტი-,,ურბანული მომსახურებიუს გაუმჯობესების საინვენსტიციო პროგრამმის ფარგლებში"- იწყება

ფოთში საკანალიზაციო სისტემა წლების განმავლობაში, როგორც საყოფაცვხოვრებო, ასევე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ბუნებრივია ამ პრობლემის შესახებ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატისთვის იყო ცნობილი და სწორედ მისი მხარდაჭერით მოხდა, რომ მსგავსი მასშტაბური პროექტი კონკრეტულად ფოთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, ფოთში, კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციასთან ერთად, კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაც განხორციელდება. პროექტის იმპლემენტაცია მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყება და 2019 წელს დასრულკდება.

სამუშაოებზე 150 ადამიანი დასაქმდება.

ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის უშუალო ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის აქტიურობის შედეგად 2015 წელს ფოთმა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან ტრანსფერის სახით 10 მილიონ 350 000 ლარი მიიღო.

ტრანსფერით გათვალისწინებული 10 მილიონ 350 ათასი ლარის ფარგლებში, რომელიც ფოთის მუნიციპალიტეტს მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდმა გამოუყო, დაფინანსდა ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბოლო სამი წლის მანძილზე იყო დაგეგმილი, მაგრამ მუნიციოპალიტეტის (ადგილკობრივი) მწირი ბიუჯეტის პირობებში ვერ განხორციელდა.

2015 წლის 3 ივნისს ფოთის მალთაყვის სანაპირო ზოლის გრანდიოზული პროექტის განხორციელება დაიწყო. ფოთელებისათვის დიდი ხნის საოცნებო პროექტის განსახორცილელებლად საჭირო თანხები ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის **ეკა ბესელიას** და ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევვით მთავრობის მიერაც იქნა მხარდაჭერილი. საქართველოს მთავრობა ამ გრანდიოზიული პროექტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 18 მილონ 500 508 ლარი გამოყო.

ფოთის თეატრის, სპორტული არენებისა და სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტის შემდეგ, მალთაყვის სანაპირო ზოლი იქნება ყველაზე მაშტაბური პროექტი, რომელიც ბოლო პერიოდში დასავლეთ საქართველოში განხორციელება.

პროექტის განხორციელებისათვის 2 წლიანი საამშენებლო სამუშაოებია ჩასატარებელი. პირველი ეტაპის სამუშაოები უკვე დაწყებულია. მალთაყვის პროექტი 2017 წელს დასრულდება.

# რით არის ფეხმძიმე საქართველო?
## ქვეყანა, რომელიც სექსით ვაჭრობს

სიყვარული აგვამაღლებსო ბრძანებს დიდი რუსთაველი, ესენი კიდევ ინსტიქტისკენ გვექაჩებიან, პირველი საწყისისაკენ, ველური ბუნებისაკენ. სექსი გამხდარა ვაჭრობის საგანი. ვის, სად და როდის წაასწრებენ და კომპრომატებს დაუდებენ. არადა, ქალისა და კაცის ურთიერთობა ღვთიური განზომილებაა ზეციურობამდე აყვანილი, - სათნოების, ბედნიერების ეტალონი. ,,სილამაზე გადარჩენს სამყაროს”-ქალთან ურთიერთობაში არის ბედნიერება-როცა ორი გული ერთი აზრით და სიყვარულით ურთიერთობს ეს არის სიყვარულის და სიცოცხლის საწყისი, აკი ღმერთიც ბრძანებს სადაც ორნი შეიკრიბებით მეც თქვენთან ვარო”. ცხოვრების ფილოსოფიაც ეს არის, წმინდა და ურყევი. ამ დროს როცა ცოლქმრული ცხოვრება ღვთისგან არის დალოცვილი და რომელიც არის სიცოცხლის გაგრძელების უპირველესი წყარო, ასე მარტივად რომ გახდა ქილიკის საშუალება, რომ თურმე ქორწილი ქალის და ქალის, კაცის და კაცის უფრო მნიშვნელოვანია თვისი თავისებურებების უფლებით.

არადა აქ, ირღვევა ბუნებრიობის კანონიერება, სიცოცხლის გახანგრძლივებისა, დავუშვათ და თავისუფლების დროში ყველა ,,ქალი ქალთან და კაცი კაცთან გაბედნიერდა” ამით როგორ გამრავლდება ქვეყანა? სიცოცხლე შეიძლება გაგრძელდეს სინჯარით, მაგრამ თუ ეს გენიც არ იქნა, სად არის გამოსავალი ამ ჯადოსნური წრიდან. რამდენად სწორია, ის რომ წყდება ქართული გენის არსებობა. რამეთუ ეს ქვეყანა იყო საუკუნეების განმავლობაში ღვთიური მადლის მატარებელი. აქამდე როგორ დაეცა ქართველი კაცი. ესეც ბიზნესია ეტყობა.

ქვეყნად იმდენი უბედურება ხდება, სულ გაწვალებს ერთი კითხვა რით არის ფეხმძიმე საქართველო? ისე მიდის ცხოვრება ამ დიდი სიმართლიდან ღვთიურ მადლთან ისევ მიწაზე ვენარცხებით. რა ცოტა გზა ყოფილა დაცემიდან ამაღლებამდე და პირიქით... მთელი ქვეყანა უზნეობის ფერხულშია და ერთმანეთს ებრძვიან, ვინ ვის რა დააყვედროს, ვინ ვის რა წამოაძახოს, ახლა ესეც არ იკმარეს და ვიდეო ჩანაწერებს მოეკიდნენ, მართლაც რაა ეს ტექნიკა! უბედურება ისაა ამ ჩანაწერების მიღმა ვინ დგას, ვინ გვყოლია მინისტრებად, ქვეყნის პატრონად, თორემ ფარულად რომ იღებ ეს არაკაცობაა, გარყვნილებას მრავალი ასპექტი აქვს, ავიღოთ თუნდაც დალესის პროგრამა-თუ გინდა დაიპყრო ქვეყანა - გარყვენი ახალგაზრდობა. კიდევ რა შეგახსენოთ!... განა პრობლემა ისაა მხოლოდ რატომ ვიღებთ პიროვნებათა პირად ცხოვრების ამსახველ მასალებს, ვის სჭირდება ეს? საწუხარია ის, რომ ქვეყანაში შეიქმნა პირობები ფარული გადაღებებისათვის, ასევე სამწუხაროა, რომ თანამდებობების პირები ცხოვრობენ ცუდი ცხოვრებით, და ეს ყველაფერი არ არის გადაღებული კეთილი სურვილებით, რამდენად დამაფიქრებელია ყველაფერი ეს, რატომ გადაიღეს, რატომ გადავაღებინეთ, ყველაფერი ვითომ ქვეყნის სასიკეთოდაა გაკეთებული, ყველა ფარული ჩანაწერი შეუძლია გამოიყენოს უცხოეთის სპეცსამსახურმა. ასე, რო ქვეყანა დგას ზნეობის და უზნეობის ზღვარზე,- გამოდის ჩემს ქვეყანას უზნეო პიროვნებები განაგებენ?

ქვეყანას ქონდა დიდი იდეოლოგია-,,ვეფხისტყაოსანი”-სიყვარულის და მრუშობის ზღვარის დამდგენელი, საუკუნეები ერთმანეთს მიყვება, მაგრამ დროში არის უცვლელი, მუდმივობა, -ღმერთი და სიყვარული -ეს იყო ჩვენი ბიბლია.

ნუთუ ამ ქვეყანას მეტი პრობლემა არააქვს-ვინ ვისთან წევს, ვინ ვისით ერთობა, ცოლთან თუ უცოლოდ... მაგრამ, თანამდებობის პირებს ხელისუფლება ხელის და თავის უფლებად გაუხდიათ დროსტარების ვადით.

ამ დროს გამოდის ჩვენი პრეზიდენტი და გაჰკივის მე თქვენ დაგიცავთ! რაც გინდათ ის ქენით, სექსი მქონდა და კვლავაც მექნება. ბატონ პრეზიდენტს, დიდი მადლობა, რომ კარგად ხართ, ქალები არ გაკლიათ და დროსტარება, მაგრამ რა ვქნათ ჩვენ ამ წამხდარ ქვეყნისგან განადგურებულმა ადამიანებმა-აღარც ქალი გვახსოვს და აღარც თავი და მაინც გვიდგას სული ქართველებად, კაცებად, გიფიქრიათ ამაზე? თქვენ სექსზე ფიქრის დრო გაქვთ, მე კიდევ, თუთაშხიასი არ იყოს, სხვა ფიქრებმა წამიღეს.

ზ. აბრალავა

ტურიზმი

# ფოთის ტურიზმის განვითარების ცენტრსა და კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა



პარასკევს, 18 მარტს, ფოთის ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორი მიხეილ კილასონია და თანამშრომლები კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ახალ დირექტორს ალექსანდრე ხაბეიშვილს შეხვდნენ. შეხვედრას გაცნობასთან ერთად, საქმიანი ხასიათი ჰქონდა. ალექსანდრე ხაბეიშვილმა და მიხეილ კილასონიამ საუბარში მიმოიხილეს ქალაქის ტურისტული პოტენციალი. გამოითქვა ორმხრივი სურვილი სამომავლოდ ეროვნულ პარკსა და ტურიზმის განვითარების ცენტრს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. შხვედრაზე ასევე ითქვა, რომ უახლოეს პერიოდში შემუშავდება ერთობლივ ღონისძიებათა პროგრამა.



ქველმოქმედება

# გვერდში დავუდგეთ ვასილ ჭითანავას



ფონდი ,,ქველმოქმედი 2015”-ის ორგანიზებით 10 მარტს ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი მძიმე ავადმყოფის **ვასილ ჭითანავას** დასახმარებლად. მხარდამჭერები იყვნენ: **ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრი, კულტურის სამსახური, ანსამბლი ,,თეთრი თოლია” და სამაუწყებლო კომპანია ,,მე-9 ტალღა”.**

აქვე წარმოგიდგენთ ფონდი “ქველმოქმედი 2015” - ის მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო საღამოზე გაყიდული ბილეთებისა და შემოწირულობების საერთო სიას:

პაატა ციკოლია 100 (ასი) ლარი (შემოწირულობა)

დავით გაბუნია 200 (ორასი) ლარი (შემოწირულობა)

“სოფმარი” - ვახტანგ ალანია 100 (ასი) ლარი (ბილეთები,შემოწირულობა)

შპს ფოთი ქალაქპროექტი 100 (ასი)ლარი(ბილეთები)

ლაბორატორიული კვლევის ცენტრი 100 (ასი) ლარი (ბილეთები)

მარიკა კვირაია 170(ას სამოცდაათი) ლარი (შემოწირულობა)

სპორტის სამსახური - გიგლა ბახტაძე 280 (ორას ოთხმოცი) ლარი (ბილეთები)

სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება- მარგო ჯანიაშვილი 632(ექვსას ოცდათორმეტი) ლარი (ბილეთები)

საქართველოს ბანკი 100(ასი) ლარი (ბილეთები)

შემოსავლების სამსახურის ფოთის სერვისცენტრი - ჯული ქილიფთარი 100(ასი) ლარი (ბილეთები)

“იკამედი” 50 (ორმოცდაათი) ლარი(ბილეთები)

სამშობიარო სახლი - 50 (ორმოცდაათი) ლარი (ბილეთები)

მოსწავლეახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი - ნანუკა ღურჯია,ნათია ჯანელიძე, მარტინ ლამბარაშვილი, ლევან მაშავა) 150 (ას ორმოცდაათი) ლარი(ბილეთები)

“ჯორჯიან ტრანს ექსპედიციონ” რაულ ანთაძე 100(ასი) ლარი (ბილეთები)

“გლამური” მაია ეჯიბია 50 (ორმოცდაათი)ლარი (ბილეთები-შემოწირულობა)

სოც.მომსახურების სააგენტოს ფოთის საქალაქო განყოფილება 50 (ორმოცდაათი)ლარი (ბილეთები)

შპს “თამარ ფაჩულიას გიმნაზია” 30 (ოცდაათი) ლარი (ბილეთები)

შპს “პოლცუგ ინტერმოდალ” 200(ორასი) ლარი(შემოწირულობა)

ნონა სილაგავა 70 (სამოცდა ათი) ლარი(ბილეთები)

თეა ბელქანია 50 (ორმოცდა ათი) ლარი (შემოწირულობა)

სტუდია “თეთრი თოლია” დარეჯან გეფერიძე 250(ორას ორმოცდაათი)ლარი (შემოწირულობა)

ანსამბლი “როკვა”ედიშერ ალექსანდრია 300(სამასი) ლარი(ბილეთები, შემოწირულობა)

სპორტკლუბი “ოცნება”- თამაზ თოდუა 200 (ორასი) ლარი(ბილეთები)

ხელოვნების სამხატვრო სასწავლებელი 90 (ოთხმოცდა ათი) ლარი(ბილეთები)

კერძო ბაღი “ცეროდენა” ნანა კუდუა 50(ორმოცდა ათი)ლარი (ბილეთები)

ანსამბლი”ორნატი” გენრიეტა ლომია 100 (ასი)ლარი(ბილეთები)

ა.ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის ხალხურ საკრავთა ანსამბლი - გია გურგენაძე 100(ასი) ლარი(ბილეთები, შემოწირულობა)

ანსამბლი”არგონავტები”- მარინა ფხაკაძე 150(ას ორმოცდაათი) ლარი

ანსამბლი”მახარია”იროდი ტიკარაძე 55 (ორმოცდა თხუთმეტი) ლარი(ბილეთები)

ფოთის ფოლკლორის ცენტრის ადმინისტრაცია120(ას ოცი) ლარი (ბილეთები)

სტუდია”მზის გული” -ალექსანდრა ჯორბენაძე-გიორგი ფილია 50 (ორმოცდა ათი) ლარი(შემოწირულობა)

ანსამბლი”ფაზისი”-ახმედ ამბალია100 (ასი)ლარი (ბილეთბი)

ანსამბლი”სამება”-კობა დარახველიძე 300(სამასი) ლარი(ბილეთები)

ანსამბლი “ფაზისი”-იროდი ტიკარაძე120 (ას ოცი) ლარი(ბილეთები)

ანსამბლი”ლაზიკა”-გიგლა თურქია 360(სამას სამოცი ) ლარი (ბილეთები -შემოწირულობა)

თოჯინების სახალხო თეატრი - ნალიტა ამირანაშვილი130 (ას ოცდაათი) ლარი(შემოწირულობა)

ქრისტინე დოლბაია 50 (ორმოცდა ათი) ლარი(შემოწირულობა)

ვალერიანე გუჯაბიძე 20(ოცი) ლარი(შემოწირულობა)

სალომე ხორავა 50(ორმოცდა ათი)ლარი(შემოწირულობა)

სალომე გულუა 10(ათი) ლარი(შემოწირულობა)

ლელა წულაია 20(ოცი) ლარი(შემოწირულობა)

გვანცა ყურაშვილი 50(ორმოცდა ათი)ლარი(შემოწირულობა)

ირინა დოლბაია 100 (ასი) ლარი

ინდივიდუალურად გაყიდული ბილეთების თანხა 300 (სამასი) ლარი.

თვის ბოლოს დაირიცხება ქალაქის მერიიდან -200 ლარი(ბილეთები), საკრებულოდან 250 ლარი (ბილეთები) ჯანდაცვა 600 ლარი (ბილეთები) სამხატვრო სკოლა 60 ლარი(ბილეთები). ჯამში- 1110 ლარი.

გაყიდული ბილეთებისა და შემოწირულობების საერთო ჯამმა შეადგინა 6867(ექვსი ათას რვაას სამოცდა შვიდი) ლარი, ოჯახს ამ ეტაპზე გადაეცა 5757 (ხუთი ათას შვიდას ორმოცდაჩვიდმეტი ) ლარი, თვის ბოლოს გდაეცემა 1110 (ათას ასათი) ლარი.

ლიკა ცაავა-დიდ ასპარეზზე

ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან

# ფოთელი ნორჩი პიანისტის წარმატება



ის ჯერ მხოლოდ 13 წლისა და ცხოვრების ახალ რეალიებს თანდათან ეჩვევა, მაგრამ მუსიკალური სამყარო მისთვის უკვე ნაცნობი, ჟრუანტელის მომგვრელი, იდუმალებით აღსავსე და ხმათა ჰარმონიასთან წილნაყარია. ფოთის არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილების მე-6 კლასის წარჩინებული მოსწავლე ლიკა ცაავაზე გესაუბრებით. ლიკამ უკვე მოასწრო ქალაქის სამუსიკო წრეში ნორჩი პიანისტის სახელის მოხვეჭა. რადგანაც ყოველი მისი გამოსვლა, კონცერტი, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მიღწეული წარმატებები მეტყველებს. ამ მიღწევების სულისჩამდგმელი კი გახლავთ ნორჩი შემსრულებლის პედაგოგი და დამკვალიანებელი, ქალბატონი ლია ეჯიბია.

მარტში ლიკა ცაავამ ორ მეტად პრესტიჟულ და ურთულეს შემოქმედებით ასპარეზობაში მიიღო მონაწილეობა თავის პედაგოგთან ერთად. თვის დასაწყისში ლიკა და მისი მასწავლებელი ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში, გამართულ კლასიკური ინსტიტუტის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე იმყოფებოდნენ, სადაც ფოთელმა მოსწავლემ ნომინაციაში მე-2 ადგილი დაიკავა. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ნომინაციაში პირველი ადგილი არავისთვის მიუკუთვნებია, ასე რომ ლიკა ცაავა ფესტივალის ლაურეატი გახდა, ბარსელონამდე სხვა მნიშვნელოვანი გამარჯვება და აღიარება, რომლის შესახებ ნორჩი პიანისტის პედაგოგს სახელოვნებო სასწავლებლის დირექტორს, ქალბატონ ლია ეჯიბიას ვესაუბრებით.

*- ქალბატონო ლია, პირველყოვლისა, გილოცავთ თქვენი მოსწავლის საერთაშორისო მუსიკალურ სარბიელზე სასიხარულო შედეგის მიღწევას. რათქმაუნდა, ეს თქვენი შრომის დაფასება და მოსწავლისათვის დიდი სტიმულია. მოგვიყევით თქვენს ევროპულ გასვლაზე?*

-მადლობას მოგახსენებთ, მინდა ამასთანავე ვისარგებლო თქვენი გაზეთის საშუალებით და უღრმესი მადლიერება გამოვხატო იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების მიმართ, ვინც უშურველად ამოუდგა მხარში ჩვენს ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელს და მის პედაგოგს. განსაკუთრებული მადლობა შპს ,,სოფმარს" და მის თავკაცს ბატონ ვახტანგ ალანიას, რომელმაც პირველი დახმარების შემდეგ (გასულ წელს ქალაქ ბაქოში ფესტივალზე მონაწილეობისათვის ხარჯები დაგვიფინანსა), ამჯერადაც სულგრძელად გაგვიწია მატერიალური თანადგომა ბარსელონაში გასამგზავრებლად. ასევე მადლობა მინდა ვუთხრა ,,ეიპიემს ტერმინალსის" ხელმძღვანელობას, პირადად ქალბატონ მარიკა ნადარაიას,ქართული კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირ ,,ჰარმონიას" დირექტორს ქალბატონ ციცინო ბიჭიკაშვილს და ყველა ჩვენს გულშემატკივარს, ვინც განაპირობა ლიკას წარმატება.

*-რას გვეტყოდით უშუალოდ ბარსელონაში გამართულ ფესტივალზე?*

-ბარსელონას საერთაშორისო ფესტივალი, სახელწოდებით ,,ოპენ სპეინ" პრესტიჟული და სახელხმიანია მთელ ევროპაში. ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების ორგანიზატორი და დამფუძნებელია მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორი და საფორტეპიანო ვირტუოზი პეტრე ბენცი,საგულისხმოა, რომ სწორედ მან გადასცა ლიკა ცაავას დიპლომი. ფესტივალში მონაწილეობდნენ ესპანელი, იაპონელი, რუსი, ირანელი,აზერბაიჯანელი და ქართველი მუსიკის შემსრულებნელი. ფესტივალი ბარსელონას კლასიკური მუსიკის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა გასაოცარი ორგანიზაციებითა და აკადემიურობით. ლიკა ორი ნომერი- ბეთჰოვენის 6 ვარიაცია და შავერზაშვილის ,,სკერცო" შეასრულა, რითაც ჟიურისა და დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა. მინდა ავღნიშნო ისიც, რომ ბარსელონამდე ახალგაზრდა მუსიკოსმა მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანში, ქალაქ ბაქოში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში სადაც ლაურეატი გახდა. მან ასევე წარმატებას მიაღწია თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ კლასიკური მუსიკის კონკურსზე, სახელწოდებით- ,,მომავლის ვარსკვლავები", ნომინაციაში ,,ჯაზური" კომპოზიციის საუკეთესო შესრულებისათვის, არის ლაურეატი პირველი რეგიონული სამუსიკო ფესტივალლისა -,,სამეგრელოს ვარსკვლავი", რომელიც ქალაქ სენაკის თეატრში ჩატარდა. ლიკა საუკეთესოდ გამოვიდა ,,ფანარტ"-ის კონკურსზე ჯაზის ჟანრში. მონაწილეობდა თურქეთის ქალაქ მარმარისში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე, სადაც ნომინანტი გახდა. ამ დღეებში კი ჩვენმა წარჩინებულმა მოსწავლემ თბილისის ევგენი მიქელაძის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში გამართულ ურთულეს კლასიკური მუსიკის მეორე ეროვნულ კონკურსში მე-2 საპრიზო ადგილი აიღო, საყურადღებოა, რომ მის ასაკობრივ ჯგუფში პირველ ადგილზე არავინ გასულა.ეს კონკურსი მონაწილეთა ტექნიკური შესაძლებლობების ერთგვარი დათვალიერებაა და ამ ურთულეს ასპარეზობაზე ლიკამ ჩერნის მე-12 ეტიუდი და ვირტუოზული პიესა შეასრულა. ეს ყველაფერი კი დიდი მონდომების, მუსიკის უსაზღვრო სიყვარულისა და დაუღალავი სრომის შდეგია. დარწმუნებული ვარ, ლიკა ცაავას აღიარებები საერთაშორისო და ადგილობრივ კონკურსს ფესტივალზე მიღწეული წარმატებები ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში პოზიტიური და მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც სტიმულს და მოტივაციას აძლევს სხვა ნიჭიერ მოსწავლეებსაც, ვინც ჩვენი სასწავლებლის კედლებში იზრდებიან.

ესაუბრა ლევან საგინაშვილი.



დღესასწაული

## ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრში საზეიმოდ აღინიშნა 27 მარტი-თეატრის საერთაშორისო დღე



27 მარტს, ფოთის თეატრალურმა საზოგადოებამ საზეიმოდ აღნიშნა თეატრის საერთაშორისო დღე.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო ქალაქის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური (**ხელმძღვანელი ნინო პაჭკორია**).

ქალაქის მუნიციპალიტეტის მერიამ, საკრებულომ და განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურმა ამ დღესთან დაკავშირებით თეატრის მოღვაწეებს გადასცა დიპლომები, ქების სიგელები და ფულადი ჯილდოები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ 4 იუბილარ მსახიობს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები და დასის ყველა მონაწილე დააჯილდოვა ფულადი პრემიებით.

დასასრულს ნაჩვენები იქნა ,,ალუბლის ბაღი" ანტონ ჩეხოვის პიესის მიხედვით.

ვულოცავთ ყველა თეატრის მოღვაწეს ამ დიდ დღესასწაულს.

აღსდგეს სამართლიანობა

## SOS !!!

... და მაინც არც რაიმესი და არც ვინმესი გეშინოდეთ ქართველებო და ჩემო საქართველო!

დავიწყებ იმით, რომ ვაგლახ მტერიც აღარა გვყავს შენი შესაფერი, თავიანთი სტომაქების ამოსაყორად მტრობისა და ღალატის უამრავი მსურველი რაღა შორს ვეძებოთ?! უბეში გაზრდილი გველებივით აქ არა გვყავს ,,ნაციონალური მოძრაობა"? და მათი ბელადი ოდესაში? ჯერ არ მოვითხოვთ, უმორჩილესად ვთხოვთ საქართველოს როგორც იქნა ქართველი ერის მიერ (ზვიადის მერე) არჩეულ ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ კონსტიტუციურად აკრძალოს ეს მტრული სექტა, რომელსაც, თუმცა კი ბევრს ბაქიბუქობენ შემთხვევითაც არააქვთ კარგი გაკეთებული ერისა და ქვეყნისთვის! რათქმა უნდა არ მივსტირი, მაგრამ კომუნისტური პარტია აიკრძალა საქართველოში, მათ უამრავი ნაკლი ქონდათ (დანაშაულებებიც) მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს ქვეყანას იშვიათი გამონაკლისის გარდა ყველაფერი მათი ხელითაა გაკეთებული.

ბოლშევიკების ცუდი ნაწილის ლენინის, კამოს და სერგო ორჯონიკიძის სულიერი და ზნეობრივი შვილები მსოფლიოს შესტირიან: პოლიტიკური ნიშნით ვიდევნებით და გამოგვესარჩლეო. ჩვენი ქვეყნის გარეთაც უამრავი ნაძირალაა, ქართველთა სისხლში და ცრემლში გასვრილ ,,ნაციონალურ მოძრაობას" რომ გულშემატკივრობენ. სინამდვილეში მათ კი არა კარაპეტ მიშას მიერ ქვეყნიდან დანაშაულებრივად გაზიდულ და მათთვის ნაფეშქაშებ სიმდიდრეს ესარჩლებიან, რომლისთვისაც ადრე თუ გვიან, მკაცრად მოეკითხებათ!!!

პოლიტიკური ნიშნით დევნას რაც შეეხება, უპირველესად ვერ გავიზიარებ, რომ არაკონკრეტული დანაშაულებებისათვის იდევნებოდნენ! ამის თაობაზე ჩემს პოზიციასაც დავაფიქსირებ: თუკი პოლიტიკურად არიან ზიანის მომგვრელი ქვეყნისა და ხალხისათვის. იდევნონ პოლიტიკურადაც!!! გადამთიელი გულშემატკივრებითაა, რომ აქაოდა მხარდამჭერი უცხოეთიც გვყოლიაო, ნებისმიერი გზით უკან უნდა მოვბრუნდეთო ხელისუფლებაში. მოვალე ვარ შევახსენო, ჩვენგან - ქართველი ერისაგან მათი ლინჩის წესით გასამართლება უნდა მოხდეს, (ეს საკითხი დღის-წესრიგიდან სრულად არაა მოხსნილი ჯერ.)

2016 წლის იანვარი
ბესარიონ ფოთელი.

## ჰამლეტ კაკულია კაცი ჯვრით ხელში



ისეთი დრო დადგა, ალბათ ყოველ ნაბიჯზე საჭიროა იმის შეხსენება, რომ ჩვენ ქრისტესმოდგმისანი ვართ, რამეთუ ქრისტიანობა: ჩვენი ყოფა ტრადიციები, კულტურა, მუდამ ღვთიურ მოძღვრებას ეყრდნობოდა. ჩვენც ამ ღვთიურ გზას უნდა მივყვეთ. სამწუხაროდ მავანს ამ გზის ჩაკეტვა უნდა, რაც დასასრულს ნიშნავს ჩვენი სულიერების და ყოფიერების, საერთოდ ჩვენი არსებობის.

ცხადია, ყველა ნაღდ ქართველს აწუხებს ეს და ცდილობს მტერს არ მიუგდოს საჯიჯგნად ,,ენა, მამული, სარწმუნოება", და, რაც მთავარია, ქართველი კაცი, რომელიც იძულებულია დატოვოს ქვეყანა, როგორმე გადაარჩინოს აქაური საქართველო. ყველას შეუძლია თავისი პატარა წვლილი შეიტანოს ამ ღვთიურ საქმეში. კალმით თუ ყალმით, ლოცვით თუ წვალებით, რამეთუ ქვეყანა ერთია, და თუ მიზანიც ერთია, ქვეყნის, ერის კეთილდღეობა, მას ღვთის წყალობა ყოველთვის შეეწევა.

რაოდენ გასახარია, რომ ჩვენი მეგობარი სახალხო მთქმელი და პოეტი ჰამლეტ კაკულია დგას ჯვრით ხელში და სხვათაშორის იტყვის მთელი საქართველო უნდა გავაქრისტიანოო, მაინც მიაგნო რაღაც საოცარ მეთოდს. ქმნის ჯვრებს,გაფორმებულს ტაძრის, ჯვრის სილუეტებით, ამ სამუშაოს საკმაოდ დიდი დრო მიაქვს, რათა ჯვრის შექმნაზე ვიმუშაო და ეს ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა. ვარ ღვთის სამსახურში, ის, რომ სიკეთის გაცემის სურვილი არ მასვენებს, თითქმის ყველა მანქანაში ჩემი გაკეთებული ჯვარია. ხშირად ამ ჯვრით ვულოცავთ ერთმანეთს დაბადების დღეებს, მნიშვნელოვან მოვლენებს, მოკლედ ამ კაცმა, მთელი საქართველო გააქრისტიანა, როგორადაც შეეძლო, ჩვენც სხვა რა დაგვრჩენია, დიდი სურვილების გარდა- ემსახუროს ღმერთს, უფალს, იესოს, ემსახუროს ადამიანს. სიყვარულს და მეგობრობას.

ჩემს მეხსიერებას კი მუდამ დარჩება საოცარი სურათი-კაცი ჯვრით ხელში.

მილოცვა

## ნინო მორჩილაძეს!



ჩვენს ლამაზ და უსაყვარლეს შვილიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს! ამავდროულად სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და მაგისტრატურის წარჩინებით დამთავრებას. იყავი ბედნიერი შენს ოჯახთან გიორგისთან და ბარბარესთან ერთად. ძალიან გვიყვარხარ და გვეამაყები ჩვენო ნინო ექიმო.

გისურვებთ დიდ ბედნიერებას, სიხარულს, სიყვარულს, ჯანმრთელობას და პროფესიულ წარმატებებს.

შენი მოსიყვარულე
ბებია და ბაბუა
ლარისა და კაკო ჯაბელიები

## ფოთელი კაცის პირუთვნელი სურვილი



ყველა თვალნათლივ ხედავს, რომ ქალაქში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ფასადების გაკეთილშობილება, ტროტუარების რეკონსტრუქცია და რაც მთავარია მალთაყვის პლაჟის კეთილმოწყობა. ყველაფერი ეს რათქმა უნდა კარგია, დიდი საქმეების კეთების პერიოდში დეფექტებიც მოსალოდნელია, რომელთა გამოსწორება სამუშაო პროცესშივეა შესაძლებელი.

ჩემის აზრით, მუშაობის პერიოდში, ცალკეული მონაკვეთების დამთავრება და ბოლომდე მიყვანა აუცილებელია, ასევე აუცილებელია ნაგვისაგან თუ საამშენებლო ნარჩენებისგან დროულად გასუფთავება, რაც მეტ სილამაზეს მისცემს ქალაქს.

გულდასაწყვეტია რიონზე რკინიგზის ხიდის და ტროტუარის ასეთ სავალალო მდგომარეობაში არსებობა.

ჩვენი ქალაქის ახალგაზრდა ხელმძღვანელები ასეთ მდგომარეობას არ უნდა ურიგდებოდნენ.

ლადო ცხადაია

## რიონი

დავით ჩირგაძე

*ეძღვნება, აკაკი გერაძის და ანიკო (დალი) ანაკიძე-გერაძის ხსოვნას.*

*სამტრედია, სოფელი ბაში, 2009 წლის 27-ივლისი, ის იყო, მზე ცისდასალიერზე გადაიხარა ბონდის ხიდს (გადაჭიმულია რიონზე 6-ათეული მეტრით) შუახნის მამაკაცი და ქალი მიუახლოვდა, ცნობისმოყვარეობით მოათვალიერეს მიდამო და გაუბედავი, ფრთხილი ნაბიჯებით შეუდგნენ ხიდზე გადასვლას, მოულოდნელად ქალის ფეხქვეშ, ფიცარი აყირავდა და ქალი აბობოქრებულ მდინარის ტალღებში ათინათდა. ელდანაცემი მეუღლე, არც დაფიქრებულა (ანდა, სად იყო ფიქრისა და განსჯის დრო), ისიც, ელვისებურად გადაეშვა მის კვალდაკვალ, რათა, კვლავაც, ხელიხელჩაკიდებულებს გაეგრძელებიათ, მუხანათი წუთისოფლის საბედისწერო გზა.*

*აქ კი (ალბათ ათი წუთი) მდინარის ნაპირს მოხუცი კაცი მისდევდა ყვირილით და თვალს არ აშორებდა იმ ადგილს, საიდანაც ახალგაზრდა კაცს, ქალის გვამი გამოყავდა ნაპირზე, მამაკაცისას კი, ჯერ კიდევ, როგორც ნადავლს, ხელდამშვენებული რიონი ზღვისკენ მიაქროლებდა. მოხუცმა ხელი ზე აღმართა, პირჯვარი გარდასახა მდინარეს და წარმოთქვა,-,,ვაი მას, ვინაც, წამი-წამ სიკვდილს არ ელოდებაო". რათქმაუნდა, ღმერთთან შესახვედრ მზადყოფნის აუცილებლობაზე მიგვანიშნებდა მოხუცი რუსთაველის ფრაზით და გულს იმაგრებდა, მგზნებარე, ამაღლებული სულის უკვდავსაყოფად. ანთებული ფიქრებით.*

მოქრის ხალისის ნიაღვარივით
დანაცრებული ახალ სანახებს,
არასდ ჩერდება თითქოს გაგვირბის
როგორც აფთარი, სურვილს ანახლებს.
თავაწყვეტილი, მთის მწვერვალიდან
მორკილაყრილი, მზისგან ფერებით.
მკვდრეთით აღმდგარი თითქოს
ცვარიდან
მტერს აედევნა გულგახელებით.
და უკვე მთიდან ჩამოსულს მარად
ნაბრძოლებს კლდეთა ვიწრო წიაღში,
ვხედავთ იშლება, სიამის დარად.
ვითარ მიწვეულს ოცნების ბაღში,
უახლოვდება შავ ზღვის ნაპირებს.
ფაზის ქალაქი ორად გაკვეთა
ორგანშტოებად გაინაპირებს,
თითქოს კავშირი ხალხში აღკვეთა
გადაქცეულა მდუმარე ფიქრად.
მოედინება როგორც ვნებული,
მჩქეფარე სული სიცოცხლის რითმად...
სახე გამხდარა შეწუხებული
თითქოს იგონებს მადლიან წარსულს.
ოდეს წკანწკარით იწყო დინება,
ირგვლივ მთებით და ტყით
შემოგარსულს,
ვინ იფიქრებდა მოეწყინება,
დღეს კი ხალისი გულს არ უმაგრებს.
აჰ! შერკინება სულთამხუთავი,
საომსარებლო სიხარულს მადებს,
სახე-ღირსების მზერა უკვდავი,
უკან დატოვა რისხვანი გულის.
ბრძოლის ჟინი და სისხლი თავნება,
ღვთის ანაბარად ხმა დაჩაგრულის,
მზეს ამომავალს რომ მიანება.
ურჩი ტალღების ავბედით ხმაში
იძერწებოდა მურსი ხარბად,
როს ეშვებოდა გრიალით ბარში.
თითქოს და ბრალში არ იყო თავად.
იქნებ წარსულის ხმები უძილო,
წამოეწია ნაღვლიანს გზაში.
და ვეღარ ბედავს, რომ აიცილოს
სისხლი არ იგრძნოს, ბრალდების ხმაში,
ანდა გამომწვევ ფიქრთა დინებას,
ვნების ქარცეცხლად რომ ეგარსება.
გულის უცოდველ გამოვლინებას
გულმოწყალებას შეათავსებდა.
და ანაზდეულ ფიქრთ მოვლინებას
გულხელდაკრეფას ვეღარ უბედავს.
და სულთამხუთავ გზით შერკინებას
იგი სიამით გზებს დაუკეცავს.
მანამ ზღვის ტალღებს სალამს ეტყოდა,
ამბავს იგონებს განა სიამით,
ბონდის ხიდეზე დგას ქალი,-წვდებოდა
ტალღად შხეფები ტროფების სიალით.
ქალს მამაკაცი უკან მოჰყვება
ხიდი ქანაობს დანაბიჯებზე,
თითქოს მიანდვეს სული მოყვრებმა,
აინტერესებთ რა ხდება ფსკერზე.
სწრაფმზარდ დინებას აკვირდებიან,
იქ სადაც ნაკადს ნაკადი ერთვის,
თითქოს ტალღები გააფრთოდებიან,
ბრმა გულს იმღვრევენ წინაშე
მსხვერპლის.
თითქოს სურვილის კვალზე ქანაობს,
მოშვებულია ფუძე მაგირის.
ტალღები გვანან გაშლილ მარაოს,
ნაპირს ასკდება სული ვამპირის.
ქალი სხივნათელ სახეს აბრუნებს,
უკან მეუღლის ფეხის ხმა ესმის.
ტალღათ შრიალი აუმადურებს,
სად მედისწერა ყველაფერს შეცვლის.
ყველაფერს წამის სიავე თრგუნავს
ქალი ფეხქვეშ გრძნობს სიცარიელეს.
რკალად იხრება ის ებრძვის ბურანს,
როს ტალღათ შორის ხატად ილევებს.
გულსმოწყვეტილი ბედითი მზერა
ელვისებურად ლაჟვარდებს აპობს,
ცაზე ღრუბლები გადაისერა,
რომ არცახები გაუხსნან მნათობს.
აჰ! სიხარულის განცდილ ბილიკზე,
რასაც სიცოცხლის ვარქმევთ გამხელას,
სად სიყვარულის ნაზი პირიმზე
დაელოდება სატრფოსგან შველას.
და არჩევანი შენზეა მხოლოდ,
შენი სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია.
განცდა შიშისა უნდა ჩაქოლო.
მით თუკი ცეცხლი სულს უკიდია.
როგორც მშვილდიდან გატყორცნილ
ისარს,
ვეღარ უბრძანებ უკან დაბრუნდეს,
აღარ ადარდებს არც თვით მოისარს,
თუნდაც ქვეყანა გაუდაბურდეს.
ფრთამოტეხილი არწივი ცისკენ,
იხედება რა!- თავს ღმერთს მიანდობს...
ტალღათა მწკრივი ისწრაფვის მისკენ.
ლეთას უბეში დაიბინადროს.
...........................................................
და თავდახრილი ზღვის შესართავთან
მოედინება მდორედ ძალიან,
ფეხს ითრევს თითქოს შეხვედრა
ზღვასთან
გულს უმძიმებს და არ უხარია.
ზღვა გულს უმკაცრებს, ჩაიკრა- თანაც,
უბრძანა ტალღებს გადაუარონ,
რომ მოინათლოს სურვილის დარად
ფიქრებმა აღარ გაატიალონ.
რომ ქარიშხალის მორჩილებაში
ბედს არასოდეს დაემდურება,
დაბლა იქნება თუ კვლავ ზეცაში
ვეღარ შეურყევს სულს რამ ცდუნება.

## ანაკლიის პორტს კონკურენტი გამოუჩნდა? – მიზეზები, რის გამოც ახალი ნავსადგური შესაძლოა წამგებიანი პროექტი იყოს



მთავრობის მიერ ათასწლეულის პროექტად გამოცხადებულ ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს შესაძლოა, კონკურენტი გამოუჩნდეს. ფოთის პორტის მფლობელი კომპანია **,,Terminals"**-ი ფოთში ახალი ნავსადგურის აშენებას გეგმავს. როგორც "ისთ გეით ჯგუფის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ **ირაკლი იაშვილმა** **,,ITRANEWS-**ის გადაცემა "ბიზნესპერსონაში" განაცხადა, კომპანიამ შესაბამისი გეგმის პრეზენტაცია უკვე გამართა. იაშვილის შეფასებით, აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ანაკლიის პორტს როგორც ფინანსური რესურსების მოზიდვის, ასევე გადაზიდვების კუთხით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდება. "ისთ გეით ჯგუფის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმ მიზეზებზეც საუბრობს, რის გამოც ანაკლიის პორტი შესაძლოა, წამგებიანი პროექტი იყოს.

## ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობის შესახებ

წავიკითხე სტატია საქართველოში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის კანდიდატების შესახებ, სადაც მთავრობამ უპირატესობა მიანიჭა ბატონ ხაზარაძის პროექტს. ამასთან გავეცანი რა გამოხმაურებებსა და კომენტარებს მივედი იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას ამით არაფერი ეშველება, რამეთუ სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს არა კომპეტენტურ ოლიგარქებს, რასაც ვეცდები დავუმტკიცო მკითხველებს.

ჩვენ, სპეციალისტების გარკვეული ჯგუფი ვმუშაობთ ამ საკითხებზე აგერ უკვე 20 წელია. ჩვენს ჯგუფში შემოდის საუკეთესო სპეციალისტები ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, აშშ-დან და ესპანეთიდან. ამის შესახებ ცნობილი იყო მე-5 სამთავრობო და ადგილობრივი ხელმძღვანელობისათვის. სამწუხაროდ, არავითარი პასუხი და რეაგირება მათი მხრიდან ამას არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოძიებული გვყავდა ინვესტორებიც, რის შესახებაც ცნობილი იყო ყველა ინსტანციაში. ღრმაწყლოვანი ნავსადგური ფოთში ,,დიდი კუნძულის" მიდამოებში უნდა გაშენდეს და გამოყენებულ იქნას ამ რაიონში მდებარე კანიონი. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ადგილის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ანაკლიის ტერიტორია წარმოადგენს დაჭაობებულ ადგილს, რომელსაც არ გააჩნია არავითარი კომუნიკაციები და რაც მთავარია (ეკოლოგიის მხრივ) წარმოადგენს გადამფრენი ფრინველების ზონას და კოლხეთის დაცულ ტერიტორიას. ამასთან ანაკლიის პორტი არასდროს არ იქნება ღრმაწყლოვანი, რამეთუ არავითარი პირობები იქ ამისათვის არ არსებობს.

ყველა ჩამოთვლილი პირობები გააჩნია ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ადგილს, იგი წარმოადგენს უფრო ეფექტურს მშენებლობის ვადების და ფინანსების მხრივაც.

ცნობისათვის მოვიყვანთ რამოდენიმე ციფრს:

1. საერთო ფართობი 695000მ². სასაწყობო ფართი 450000მ².

კონტეინერების ერთდროული შენახვა 14 500ერთეული (1 შტაბელი 150 კონტეინერი, სულ 96 შტაბელი).

პორტი იქნება უზრუნველყოფილი ავტონომიური ელექტროენერგიით ქარის გენერატორების მეშვეობით;

3. პორტის ტვირთბრუნვა პირველ ეტაპზე იქნება 18 მილიონი ტონა, პერსპექტივაში კი იქნება 70 მილიონი.

თუ ამჟამად არსებული, მაგრამ მოძველებული პორტის ადმინისტრაცია დათანხმდება ჩვენთან თანამშრომლობაზე, რათა გააფართოვოს თავისი პორტის ტვირთბრუნვა, მათ მიეცემათ შანსი გადააქციონ იგი ღრმაწყლოვან პორტად და ტვირთბრუნვა გაზარდონ 100 მილიონ ტონამდე. ამასთან ჩვენ სრულვყოფთ მთლიანად ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას. რისთვისაც არსებობს ყველა პირობა.

ჩვენი გეგმები და მოსაზრებები ვეცდებით გავუზიაროთ მკითხველებს იმ იმედით, რომ წაიკითხავენ, გაანალიზებენ, მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას და მისცემენ სათანადო შეფასებას.

საინიციატივო ჯგუფის სახელით ,,ფაზისის" საეროსამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი,
აკადემიკოსი
ჯემალ გერსამია

პოეზია

## გაზაფხულის ფერთა იალკიალში

ამოვყვები, გულანთებულ ალიონს
არა ისე, როგორც უცხო სტუმარი,
მზემ შემინდოს, გულმა მოინანიოს,
ეს ხალისი, გულქვად დანაწუნარი.
გულხალისად იასამანს დავხატავ,
მიმოზების სურნელოვან წიაღში,
გარიჟრაჟის სუსხს შეურევ
თანდათან,
გაზაფხულის ფერთა იალკიალში.
და ოცნების ახალ-ახალ
გვირილებს,
ქარიშხალი ოდეს დაემუქრება,
სულის ღელვა, ბალახს ააბიბინებს
რომ არ იგრძნოს გულმა
გადაფითრება.

ვხედავ სივრცეს, მასთან სულს,
ცისარტყელას შვიდ ფერ-α,β,γ სხივს,
სხივთ... სა-ათის დროთა ცვლით,
ჰარმონიას,
დო რე მი ფა სო ლას ხმით

## საქართველო- ჩაკლიტული სკივრი ცნობიერებისა

I. მე გიხილავ,
ჩემო საქართველოვ!

საქართველოვ! შენ ხარ სულთა ქარი თუ ნიავი.უსაზღვროც და საზღვრიანიც, ხარ სიცოცხლის მარად მფენი, ყვავილნართა ვრცელი ველი, ფუტკრის მსგავსად თაფლის მჩენი, ესე იგი ღმერთი ჩვენი.

მე გაანვიხილავ ჩემს მიერ ზემოთ თქმულს,თქვენ გინდ დაიჯერეთ გინდ არა.

იყო ერთ დროს დედა მიწაზე მთლიანი - გაერთიანებული, ძლიერი **საქართველო**, რომელიც ფლობდა ანკარა ცოდნის წყაროს ზეციერისას, რითაც მართავდა ქვეყანას. განვლო რა დრო-ხანმა, სატანამ შურით დაუხშო სული ნათელი, ჩაუკლიტა ცხრა კლიტულით სკივრი ცნობიერებისა, რითაც დაუნგრია გოდოლი წვდომისა დედააზრისა. ამით აქცია იგი ვითარცა ობოლი სული, მაგრამ დრომ განკურნა იგი, ღმერთმა მფარველმა მოუვლინა სანაცვლოდ დედა მარიამი, შთაბერა სარწმუნო სჯული მისი, რითაც ნათელჰყო საქართველოს სულიერი მისია სამყაროს მარადისობის მცნების შემეცნებისა. დასტურად ხალხური აზრი ლექსად თქმული მომყავს.

ორ ზღვას შუა ძველის ძველად
საომარი იყო ლელო,
ის გადარჩა და სახელად
ეწოდება საქართველო.

ბიბლია მოგვითხრობს სიტყვის უპირველესობაზე **,,პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა,და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი"**.(იოანე 1.1), რითაც გვიმხელს ყოველი სიტყვის ფარულ შიფროგრამას, ჩვენც ვინებოთ და გავშიფროთ იგი,არის თუ არა სიტყვა **საქართველო** რისიმე მთქმელი?

მარცვალი **სა** შესდგება ორი ასოსგან (**ს** და **ა**-სი), რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ **სა-ქართველო** - დაკისრებული აქვს **სულიერი** მისია **აქაურობისა**, ე.ი სულიერი გადარჩენის მისია, **ამა**-ქვეყნისა **სამყაროში**.

მარცვალი **სა**-ს მომდევნო მთლიანი სიტყვა **ქართველო**! ძალუმად გვკარნახობს შეიცან თავი და ირწმუნე მისია შენი.

შემდეგ ბგერათა ნაკრები **ქართ**-ა მიგვანიშნებს სულთა ფენომენზე.(მეგრულად ო-**ქართ**-ე შინაურ ფრინველთა ადგილსამყოფელია). მომდევნო მარცვალი **ველ**-მიგვანიშნებს ველზე, ე.ი ორივე გამონათქვამი **ქართ-ველ**-ო, ერთად იგულისხმება **სულთა ველი**. ასე და ამგვარად **სა-ქართ-ველ-ო** იკითხება ასე: **საქართველოს დაკისრებული აქვს მამა ზეციერისაგან -ღმერთისაგან სულიერი მისია ამ ქვეყნის გადარჩენისა**.

**რეზიუმე**- ყოველი სიტყვა ჩაშიფრულია, იგი გონებით განხილვას საჭიროებს. ასევეა ჩაშიფრული ბიბლია-ჭეშმარიტებათა სკივრი, ცოდნის საუნჯე.

საქართველოში საკმაოდ მომრავლდა ნაბანთა და სიტყვათა მშიფრავნი, იმედი მაქვს კიდევ უფრო იმატებს მათი რიცხვი და საბოლოოდ ეხსნება ყოველივე ფარულს ფარდა. ამით ნათელი ღვთისა მოჰფენს შუქს მისიას ჩრდილოვან ცას ,,... **შეიცვლება მიწის მკვიდრთა გული და გონება მათი გარდაიქმნება, წარიხოცება ბოროტება და აღიგვება სიცრუე, რწმენა კი აყვავდება და დაიძლევა ხრწნილება, გამოცხადდება ჭეშმარიტება, რომელიც უნაყოფოდ იყო ამდენი ხანი**". (მესამე ეზრა 6,26-28)

II **იგავ-არაკი იმისა, თუ როგორ შეიქმნა სამყარო**

რომ გავშიფროთ აწ უკვე ჩაშიფრულ-ანაფორააფარებული ამბავ-ნაამბობი ჟამთაცვლათა დინებისა, ამჟამად მოსული ჩვენამდის საჭიროა კარგად შევისწავლოთ და განვიხილოთ ბიბლიაში მოცემული ყოველი სიტყვა თუ წინადადება.

როგორც ვიცით **ბიბლია ჩაშიფრული ცოდნის სკივრია, ცოდნის წყარო კი ანბანთა და ციფრთა რიცხვითი შიფროგრამაა**. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ შიფრთა ურთიერთჰარმონიული შიფრია, მუსიკალური მელოდრამული ნოტები.

ბიბლია (იგავ-არაკი) პროზაული შიფროგრამაა, ე.ი. ბიბლია ჭეშმარიტების ცოდნის გასაღები სკივრია, შვიდი ეკლესიით ჩაკლიტული, ანუ დაბეჭდილი **ცხრა** კლიტული კლიტით.

გრამატიკიდან ვიცით რომ, ყოველ ბგერას თავისი შესატყვისი ასო ნიშანი აქვს, ე.ი. **ანიდან ჰოემდე** ყველა ასოებია. ყოველ ასოს ანბანთა მწკრივში, თავისი რიგი და აზრობრივი მნიშვნელობა აქვს. ანბანთა რიგი რიცხვთა შესაბამისადაა განლაგებული. **აბგდევ...**
შეესაბამება 123456...

ასე და ამგვარად ჩვენ გვაქვს სამი სახის შიფროგრამა: **ანბანი, ციფრები და ნოტები**, მათ შესაბამისად თავთავისი გასაშიფრი -გასაღები-კლიტენი აქვთ, ესენია: **Ö** - ნოლი-რომაული ტრანსკრიფცია, γ-ციფრთა კლიტე, ჵ -ეს ანბანთ კლიტე,
𝄞 მუსიკალური გასაღები-კლიტე...

ციფრი **ნული** გარეშემოწერილი არსის ნიშანია, ანუ მიკრო სამყაროს აღმნიშვნელი კოდია (ლაზარეს აღდგინება №4 (11)გვ 4).

ასო ჵ -ანბანთა კოდია (იხ. სულხან საბას ლექსიკონი, სადაც თქმულია, რომ აღნიშნული: ,,**ჵ-ა ესე ფარსა და ჳ- ეს საშუალად ითქმის. ძველს წიგნში ახლად ვპოეთ, სხვათა ენათა თარგმანებათა შინა ფრიად საკმარი არს, ამისთვის ბოლოს დავსვი**." თანაც განმარტავს ვინც მიუჩენს ამ ასოს შესადარ ე.ი. მის ადგილს იქ დასვასო).

ასე და ამგვარად თუ ამ კლიტეთა სივრცობრივ (მათ სიბრტყეთა) ურთიერთმართობულ თანაკვეთას გავიზიარებთ-წარმოვიდგენთ - ვნახავთ შემდეგ კოდურ კორდინატთა სისტემას.

ეს იმას ნიშნავს, რომ ციფრები და ბგერითი ასოები შიფრებია, ორი სამების სიბრტყეთა შინაარსობრივი დატვირთვის თანაკვეთისა; ნოლი კი მათი თანაკვეთის ჰარმონიული თანაკვეთა-შერწყმაა. რაც თავისთავად მესამე სამებაა.

ასე უნდა გავიზიაროთ ის სამი საწყისი კოდი -კლიტენი, სამი სხვადასხვა ერთარსის შიფრთა არსი.

სქემატურად ეს ასე გამოიხატება

*= **Ö**+ ჵ+𝄞

1=2+3+4=9 ე.ი. 3 სამებას"

**დასკვნის მაგიერ**: სამყარო ანუ ღმერთი არის მიკრო სამყაროს და სულიერი სამყაროს ჰარმონიული თანაარსებობა.

(გაგრძელება იქნება მკითხველთა ინტერესის გათვალისწინებით)

**ვლადიმერ (ბონდო) მილორავა.**

## 65 წლის იუბილის შესახვედრად
## ახმედ ამბალია – ქართული ხელოვნების მესაიდუმლე ღირსეული მოღვაწის შემოქმედებითი ცხოვრება



2015 წლის 18-19 ივნისი ფოთელებმა საუცხოო დღედ აღიქვეს. კოლხურ-ლაზური ცეკვების ფესტივალი, მართლაც მრავალფეროვნებას ავლენდა. ღია ცისქვეშ ქალაქის ცენტრალური ბაღის საცეკვაო სცენაზე ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენი ქვეყნის ცალკეული მხარეების ქორეოგრაფიული კოლექტივები. ქართული ცეკვის ორდღიანმა კონკურსმა იმედი გაგვიორკეცა. იმავდროულად ხელოვნების მოყვარულთა ინტერესებში მოექცა დიდი სანახაობრივი კონცერტი, რომელიც ფოთის დრამატულ თეატრში გაიმართა. წარმომადგენლობითი მაყურებლის თვალწინ სცენურ სიმშვენეს გვისურათებდა ფოთის ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი **,,ფაზისი"**. ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა განსაკუთრებული მონდომებით შეასრულეს ქართული ხატოვანი ცეკვები და სიმღერები. ნამდვილი ქართული სისხლის დუღილით ჩამოგვიქსოვეს ქალთა, ქალ-ვაჟთა და ვაჟთა სცენური სანახაობანი. რასაც ახლდა ტაში და გამოძახილი.

ავტორიტეტულმა ქორეოგრაფმა **ახმედ ამბალიამ,** დამაჯერებლად მოგვითხრო ფოთელების რჩეული ანსამბლის საიუბილეო 40 წელზე. გაგვიცოცხლა მისი საამაყო ასპარეზობანი ჩვენში და ჩვენი ქვეყნის მიღმაც.

სამაგალითოა, რომ ამ დიდებულ საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ ეროვნული ქორეოგრაფიის სხივნათელი მოღვაწენი: **რეზო ჭანიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე,ომარ მხეიძე,თენგიზ უთმელიძე, თეიმურაზ ბიბილეიშვილი** და სხვა ცნობილი ხელოვანები. ღირსეული ქორეოგრაფის **ახმედ ამბალიას** შემოქმედებითი ცხოვრება მრავალსახოვანია, ისევე როგორც მრავალგვარად სანაქებოა მისივე ანსამბლი ,,ფაზისის" 4 ათეული წლის ისტორია. ასეთი სიტყვებით გაათბო მაყურებლის დარბაზი ქართული ქორეოგრაფიის კავშირის ლიდერმა **რეზო ჭანიშვილმა**. მანვე წარუშლელი ფაქტებით დაახასიათა ,,ფაზისის" სამხატვრო ხელმძღვანელის ადრეული წლებიც. გააცნო ყველას რომ ახმედ ამბალია ნიჭიერად ეუფლებოდა ქართული ცეკვის ყველა სიკეთეს ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში, სადაც რეზო ჭანიშვილის ქორეოგრაფიამ ბევრი რამ შესძინა. იმ ხანად სასწავლებლის ახალგაზრდულ ანსამბლში დაიდგა ქართული ცეკვა, რომელთაგან თავს გვაწონებდა სიახლეებით აღსავსე ,,განდაგანა", ,,ხორუმი", ,,სამსართულიანი ფერხული-ფარცა" და კიდევ სახიერი ,,მთიულ ქალ-ვაჟთა სატრფიალო". ცეკვათა სოლო ნაწილებს თვალდასატანებლად ასრულებდა ფოთელი მოცეკვავე.

უნდა ითქვას, რომ ახმედ ამბალია ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ფოთის მე-6 სკოლიდან მივიდა. ამ სკოლაში კი ქართულ ცეკვას ასწავლიდა აღიარებული ქორეოგრაფი **შოთა ჩახავა**, რომელიც იშვიათი პედაგოგიურ-ქორეოგრაფიული თვისებებით ხასიათდებოდა, განუზომლად უყვარდა ბავშვები და ყველანაირად ცდილობდა პასუხისმგებლობისა და სიკეთის მისწრაფებანი ჩაენერგა მოსწავლე-ახალგაზრდობაში.

ცეკვის სიყვარულით შთაგონებულმა ჭაბუკმა მომდევნო ხანებში ფოთის საქალაქო კულტურის სახლში გადაინაცვლა, სადაც საგანგებოდ ნარჩევი გოგო-ბიჭები იკრიბებოდნენ. მაშინ ხელმძღვანელებად იყვნენ **შოთა ჩახავა** და მისი ვაჟიშვილი **მურთაზ ჩახავა**.

შრომისმოყვარე, დაუზარელმა ახალგაზრდამ კარგად აუღო ალღო ცეკვის დამდგმელთა მუშაობის სტილს, უხვად დაეწაფა ,,დავლურ-ქართულის", ,,ფერხულ-ფარცას", ,,მთიულურის", ,,მეგრული საფერხულოს" და სხვა ცეკვების საშემსრულებლო ნაწილს. ასევე მან მოამზადა მოსაწონი სადიპლომო ცეკვა, რომელსაც მაღალი შეფასება მიეცა, სადიპლომო ცეკვას ,,ხევსურ ქალთა ცეკვა" უწოდა. მასში ნათლად აისახა ავტორის სადადგმო ნიჭიერება, შემოქმედებითი ინდივიდუალობა.

საინტერესოა, რომ **ახმედ ამბალიამ** სასწავლებლის დამთავრებისას უძველესი ვანის რაიონში მოიწადინა ქორეოგრაფიული მუშ აობა. რაიონის კულტურის სახლში გულიანად მოეკიდა სანატრელ საქმეს.თავის უფროს მეგობართან **გრილეონ ტუღუშთან** ერთად გაახარეს ვანელი ბავშვები.დადგეს აჭარული,გურული,სვანური და ქალაქური ფოლკლორის ცეკვებიც. პარალელურად ქობულეთის პირველ სკოლაში მუშაობდა.მეგობრულ შემოქმედებით ვითარებაში აწესრიგებდა საკონცერტო,საოლიმპიადო,საკონკურსო საკითხებს,სასურველი წარმატებანიც ჰქონდა.სათქმელია ისიც,რომ იგი ვანის კულტურის სახლის(დირექტორის ბონდო გერსამიას)სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წამყვანი სოლისტი იყო. გამომსახველად ცეკვავდა ''განდაგანის'',''მთიურულის'',''კინტოურ-ყარაჩოღელის''სოლო პარტიებს.

ასე რომ შემოქმედებითან მოღონიერებული ახალგაზრდა ხელოვანი მშობლიურ ფოთს ოპტიმისტურად დაუბრუნდა. აქ უმალვე მიიწვიეს ქართული ცეკვის სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგედ (დირექტორი შოთა ჩახავა).აქ მეტი ძალისხმევით გაშალა შემოქმედებითი საქმიანობა,დანერგა ცეკვის გაკვეთილის ნაყოფიერად ჩატარების საიმედო მიმართულება. მცოდნე პრაქტიკოსთან მურთაზ ჩახავასთან ერთად დაამუშავა მასობრივი და ინდივიდუარული ცეკვები.ბავშვებში აღვივებდა მამაპაპური ხელოვნებისადმი ცხოველ ინტერესს.ამგვარმა მიდგომებმა კიდევაც ათქმევინა:''ჩვენს ბავშვებს უნდა ვაცოდინოთ ქართული ცეკვის განსაკუთრებული ნიშანთვისებანი. ქართულ ცეკვებში ფეთქავს ცხოვრების სიყვარული, მეგრობის, ვაჟკაცობის, მამაცობის,ზნეობრივი სიწმინდისა და კეთილგონიერების სულისკვეთება.

სწორედ, ამგვარი რწმენით იღწვოდა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასასრულს ფოთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ''ნატვრისთვალი''. აქაც ყველას აგრძნობინა,რომ მიზანდასახულობის,შრომისმოყვარეობისა და ნიჭიერების გარეში სანაქებო წარმატება არ მიიღწევა.''ნატვრისთვალშიც''ცეკვის სიყვარულით გულანთებული გოგო-ბიჭები მიიზიდა. ჩინებულად დადგა ''განდაგანა'',სოლისტებიც გამოარჩია,დახვეწა და გაასალაშინა თითოეული ფრაგმენტი.სასურველ საფინალო ნაწილსაც მიაგნო,საგანგებოდ შეარჩია საცეკვაო მელოდიები,საშემსრულებლო გამომსახველობაზეც ბევრი იმუშავა. მსგავსად იზრუნა ''დავლურ-ქართული''-ს,''სვანური'',ვაჟთა ''ცერულისა'' და ''მთიულური ქალ-ვაჟის''კომპოზიციური სრულყოფისათვის.

ახმედ ამბალია იმ ქორეოგრაფთა კატეგორიას მიეკუთნება, რომელთაც საკუთარი ქორეოგრაფიული ენა,სტილი,ხელწერა გააჩნიათ.მის მიერ დამუშავებული საცეკვაო ნაწარმოებები ლაპიდარულია და ფორმითა და შინაარსითაც სამაგალითოა. ნიჭ-მომადლებული ქორეოგრაფი ემიჯნება გადაჭარბებულ ''ჩანართებს'',ცეკვებში გასაგები მოხაზულობით ქმნის დამაჯერებულ მხატვრულ სახეებს,რაც მოსწონს მაყურებელს,პატივს სცემს მის შემოქმედებით უშუალობას.



ყოველივე ამაში ''ფაზისი''-ს ხელოვნებაც გვარწმუნებს. აგერ უკვე 35 წელია ეს ანსამბლი ფოთის კულტურული ცხოვრების,ეროვნული საცეკვაო ხელოვნების სამსახურშია.

...1984 წელს შემოუერთდა ''ფაზისი''ქართული ქორეოგრაფიის დიდ ოჯახს. კარგახანს იყო ახმედ ამბალია ამ ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი.ბობოქარი გულის კარნახით იღწვოდა,იწვოდა,არ ისვენებდა თავის უმცროს კოლეგებთან ერთად, დღენიადაგ აძლიერებდა მხატვრული კოლექტივის შემოქმედებას.მართლაც,თვალს რომ ენატრება,იმგვარი კომპოზიციებით დაამშვენა ''ფაზისი'',მადლიანი სული ჩადო თითოეულ ქორეოგრაფიულ ნაწარმოებში.ფესტივალებზე დათვალიერებებსა და კონკურსებზე ადგვილად გამოირჩეოდა ''ფაზისური''ცეკვების სიკოხტავე. მეტადრე თავს გვახსენებენ ''მეგრული სუიტა'',''მთიულ ქალთა ცეკვა'',აფხაზური ''შარათინი'',აჭარული სატრფიალო ''განდაგანა'',ლაზური შრომის ცეკვა ''მებადურული''და სხვები.

,,ფაზისი"-ს სამხატვრო ხელმძღვანელზე გულწრფელად გვიამბობს ცნობილი ქორეოგრაფი,საქართველოს ქორეოგრაფიის კავშირის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **გიგლა თურქია**.იგი ამ ახლო წლებში ''ფაზისის''მთავარ ქორეოგრაფად დაინიშნა და ბატონ ახმედთან ერთად შთამაგონებელ წარმატებებს აღწევს.

დიახ, სხვათა ნაშრომ - ნაჯაფარის, ნიჭიერების კარგად დამნახველი და დამფასებელიცაა ახმედ ამბალია. იგი ყოველთვის მოკრძალებულია თავისი ხელოვნების წარსულზე და აწმყოზეც,მაშინ როცა, მართლაც, მოწინავეობს,'' კვალი განახლებული'' მოაქვს ეროვნული ქორეოგრაფიისათვის. ამის ნათელყოფაა ჩვენში და უცხოეთის ურთულეს კონკურსებში მოპოვებული უმაღლესი ჯილდოები,სახელდებული პრიზები,საერთაშორისო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატობა. ავტორიტეტულია ისიც, რომ დაჯილდოებულია საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალების,საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდის ორდენებით.არის ღირსების ორდების კავალერი.

ბუნებრივია,არ უნდა გვიკვერდეს,რომ სახელოვან შემოქმედს არც თუ იშვიათად იწვევან სახალხო ფესტივალ - კონკურსების ჟიურის წევრად. სამართლიანად,კვალიფიციურად აანალიზებს მოასპარეზე კოლექტივების გამოსვლებს,აწონილი სიტყვით ეხმიანება ქართული ქორეოგრაფიის აქტუალურ საკითხებს,მონაწილეობს ცეკვის სემინარულ მუშაობაში,საამისო გამოცდილებაც აქვს.ერთხანს ''ქორეოგრაფიის კავშირის'' ფოთის ორგანიზაციას უძღვებოდა.არ უშინდებოდა პრობლემებს,ასეა ახლაც,რაშიც საკუთარ ოჯახს,უმეტესად თავის მეუღლეს ნატალია ნუსხელიძეს ემადლიერება.ეს ნიჭიერი ქალბატონი ცეკვის ანსამბლების ნაქებ აკომპანიატორია,რაც უიშვიათესი მოვლენაა ქორეოგრაფიულ ცხოვრებაში.უფროსი ვაჟიშვილი-**კობა ამბალია** ''ნორჩი ფაზისელების'' ქორეოგრაფია. თითქმის ნახევარი საუკუნეა **ახმედ ამბალია** ქართულ ცეკვას ემსახურერბა.მალე 65 წლის გახდება,რასაც საამაყო ბიოგრაფია შეაგებება.არაერთი თაობა გამოაწრთო და დაკვალიანა,მათგან რჩეულნი ეროვნული ქორეოგრადფიის სარბიელზეა. ნათქვამია:''რაც ერთხელ ცხოვრად სულს დააჩნდების,საშვილიშვილოდ გადაცემის''. უდაოდ, საშვილიშვილოდ იღვაწა,კიდევაც დაიმკვიდრა ხალხის სიყვარული და პატივისცემა... კვლავაც მზადაა გაიხარჯოს ქართული ცეკვისთვის. კარგად გახარჯული სიცოცხლე კი დღეგრძელი სიცოცხლეა.

ზაურ ლაზიშვილი,
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე,
საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდი, ღირსების ორდენის კავალერი,
ბათუმის საპატიო მოქალაქე.

საით მიდიან ჩვენი მეგობრები

# ბადრი ღვალიშვილის ხსოვნას

## ჯერ კიდევ მზე შუბისტარზე იყო



ცხოვრების შუადღიდან წავიდა, როცა მზე ჯერკიდევ შუბისტარზე იდგა. არ იყო ეს გზა უბრალო, იოლი, თუნდაც მარტივი. კაცი თავად ჭედს თავის ბედს, თუმცა, ნიჭი უპირველესი საყრდენია იღბლისა.

სიცოცხლე ერთხელ ეძლევა კაცს და უნდა ეპატრონო. ისიც სწავლით, წვალებით მიიკვლევდა გზას ამ დაუნდობელი ცხოვრების ოკიანეში ნაპირი რომ არ უჩანს და გაშინებს, როცა არავინაა გვერდით გარდა შენი თავისა. პატრონი და ხელისწამომკვრელიც არავინ ჰყავდა, თითქმის ობლობაში გაიზარდა ბებიისა და უსაყვარლესი ძმის რომანის ხელშეწყობით, ამაგი არ დაუკარგავს მათი, - ნასწავლი, ჭკვიანი კაცი დადგა, თავისი ეპოქის ღირსეული შვილი.-იყო კომკავშირული ლიდერი, პარტიული ფუნქციონერი, მაგრამ იყო უბრალო, კაცთმოყვარე, პატრიოტი თავისი ქვეყნისა და კუთხისა. როგორც გამორჩეულად მოაზროვნე ახალგაზრდა კარგად ხედავდა იმ ეპოქის, იმ ხელისუფლების ნაკლოვანებებს, სადაც გაატარა მთელი შეგნებული ცხოვრება. შემდეგ იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის წლები, სწორედ ამ რთულ პირობებში გამოვლინდა, მისი როგორც თანამედროვე, წინდახედული და ახლებურად მოაზროვნე პიროვნება. რამოდენიმე წელი საზღვარგარეთ გაატარა და მიიღო სპეციალური განათლება ეკონომიკის, ბიზნესის მართვის დარგში. არაერთ დიდ სამსახურს ჩაუყარა საფუძველი-მათ შორის წისქვილქარხანას, საერთაშორისო გადაზიდვებს, ქონდა კონტაქტები საზღვარგარეთელ ფირმებთან, კომპანიებთან. მათთან კონტაქტში ქართულ საქმეს აკეთებდა. აკეთებდა უდიდესი სიყვარულით და პასუხისმგებლობით. ოჯახიც სიყვარულით შექმნა, ცხოვრების ბოლომდე ურთგულა კარგმა ექიმმა, დედამ ქეთინო მილორავამ, შვილებიც ღვთიური მრწამსით და ქართული სულისკვეთებით აღზარდა. მოყვასის სიყვარულით, გამტანობითა და დანდობის გრძნობით. ბავშობიდან მისი ცხოვრების გზასავალი მეცნიერებისადმი ინტერესი, განათლება, შრომა და კაცთმოყვარეობა იყო, თუმცა ნაადრევად მოწყდა წუთისოფელს და ჩვენც გვაწვალებს კითხვა -რისთვის მოვედით ქვეყნად-თუმცა სანთელ საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. ვალმოხდილი წავიდა და საგზლად სიკეთე და კაცობა წაიღო ციურ სასუფეველში. ვალში მხოლოდ ჩვენ ვართ მასთან. მეგობარს, ახლობელს, არ მიატოვებდა, არაფერს არ დაიშურებდა თუნდაც დიდ თანხებსაც, ყველას ეიმედებოდა, ახლა ძნელად თუ შეხვდებით ასეთ პიროვნებებს, ბიზნესმენებს, ქალაქის ვიცე მერადაც იმუშავა იმ ურთულეს პერიოდში, აქაც გამოვლინდა მისი საღი აზროვნება და სწორი განსჯის უნარი-ალღო, ახლებური ხედვა და მიდგომა პრობლემების გადაწყვეტისადმი. როცა უკან მოიხედავდა და განვლილ გზას გახედავდა, აფხაზეთი და სოხუმი მოსვენებას არ აძლევდა. ბავშობის, ახალგაზრდობის წლები ხომ იქ გაატარა,- უნივერსიტეტი, მეგობრები, ზღვა, მზე, რომელიც შორეულ ნატვრად და დარდად მიყვება.

უამრავი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა, მაგრამ მაინც არ დაუჩოქნია, გული არ გაუტეხია, მხოლოდ დაიღალა უკრნებელ სენთან ჭიდილში ცხოვრების ამაოებას რომ გაფიქრებინებს, თუმცა, ერთადერთი ღმერთია ჩვენი მფარველი, მან იცოდა ამ გზის უსასრულობის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**უახლოესი მეგობრები**

კაცი, რომელსაც არაფერი შეშლია

# გარი ჟღენტს 23 მარტს 90 წელი შეუსრულდებოდა

,,მე კიდევ მრჩება ბევრი სათქმელი, მაგრამ სიტყვების არ მყოფნის კონა,
მალე ჩაქრება ალბათ სანთელი, ჩაქრება ჩემი ჭიაკოკონა.

გარი 1986



ფოთის 50-იანი წლების მასწავლებელთა საზოგადოება მთელს საქართველოში და არამარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა სივრცეში იყო ცნობილი.იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული პედაგოგები: **პიმენ ნაცვლიშვილი, პორფილე ბარამიძე, კაკო ცხადაია, თინა ჭოჭუა, ალექსანდრა (შურა) გუჯაბიძე, გიორგი ხოჭოლავა, ალექსანდრა აბდუშელიშვილი, ვერიკო შელია და სხვები,** რომელთა სახელები ვარსკვლავებივით კიაფობდნენ საქართველოს განათლების ცის კაბადონზე. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა **გარიპილ (გარი) ჟღენტს**.

**გარი ჟღენტი** დაიბადა ფოთში 1926 წლის 23 მარტს. ქართული ფეხბურთის ერთერთი ფუძემდებლის **აკაკი ჟღენტის** ოჯახში. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული **გარი** მასწავლებელი გრიგალივით შემოიჭრა ფოთის პედაგოგიურ საზოგადოებაში და დაიპყრო როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების გულები.

ეს იყო შორეული 1949 წელი.

აი რას წერდა მის შესახებ ჩვენი თანაქალაქელი, პედაგოგი, შემდგომში განათლების სამინისტროს სპეციალისტი **შურა გუჯაბიძე:** ,,გარი მასწავლებელი იყო შავგრემანი, ჯიღა თვალებით, ჩაწიკწიკებული, ქათქათა კბილებით, იუმორით სავსე და გადამდები ხალისიანი. რაღა დასამალია და ბევრი მანდილოსანი ეტრფოდა გარის, მაგრამ არასოდეს უსარგებლია ბოროტად თავის მომხიბვლელობით. ყველასთან ბოლომდე შეინარჩუნა მეგობრობა.

გარი და თინა ჩემი ახალგაზრდობის ურთგულესი მეგოობრები იყვნენ. გარისთან მაქვს გატარებული სკოლისა და სტუდენტობის უბედნიერესი წლები. თითქმის ერთდროულად დავიწყეთ პედაგოგიური მოღვაწეობა ფოთის №1 საშუალო სკოლაში და 19 წელი გვერდი-გვერდ ერთგულად ვემსახურებოდით ჩვენს საპატიო მოვალეობას. თინა კი კარგახანი სასწავოლო ნაწილის გამგე იყო ჩვენი".

1973 წლიდან გარი მასწავლებელი სპორტულ საზოგადოებებში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. 1978 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ქალაქის სპორტკომიტეტთან არსებული ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდობის სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე იყო, შემდგომ კი- დირექტორი. სპორტულ სკოლაში მისი მოღვაწეობის პერიოდში მრავალი სპორტსმენი აღზრდილა, რომელთაც წარმატებით დაუცვიათ ქალაქისა და საქართველოს სპორტული ღირსება, რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ არენაზე.

**გარი ჟღენტი** არა მარტო სპორტსმენთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდით იყო დაკავებული, არამედ მან ორი შვილიც აღზარდა. ვაჟს მამის საპატივცემულოდ აკაკი, ხოლო გოგოს უცნაური და ლამაზი სახელი ხალინა უწოდა.

გარი ჟღენტის მეუღლე **თინა მაშავა** ამჟამად პენსიონერია და მთელ თავის გამოცდილებას შვილიშვილების აღზრდას ახმარს. ამაყობს მარიამ და გაბრიელ ჟღენტების წარმატებებით. გაბრიელი მე-12 ბაგა-ბაღის აღსაზრდელია, ხოლო მარიამი ნანა ალექსანდრიას სახელობის სკოლა გიმნაზიის I კლასის მოსწავლეა.

ასეთი იყო მისი მოღვაწეობის წლები, ამიტომაც ყვავილებით, ცრემლებით გააცილეს იგი უკანასკნელ გზაზე და მრავალი თბილი სიტყვები დაიწერა მის შესახებს.

ზოგიერთ მათგანს აქვე გაგაცნობთ:

,,ბატონი გარი იყო შესანიშნავი მეოჯახე, მოსიყვარულე მამა, სპეტაკი და პრინციპული ადამიანი, გულისხმიერი მოქალაქე და პედაგოგი, რომლის მარადიული ხსოვნა მუდამ დარჩება მრავალრიცხოვან აღმზრდელების, კოლეგებისა და მეგობრების მეხსიერებაში".

,,ეჰ, გარი, გარი

ეხლა როცა ყველაფერი წარსულში გადასახლდა, მხოლოდ მოგონებებით უნდა გესაუბროთ ბატონო გარი. საოცარი ბუნების კაცი იყავი, მეგობრული, თავმდაბალი, პრინციპული, პურმარილიანი, არაფერი არ გეშლებოდა-დიდთან დიდსა და პატარასთან პატარას, გიყვარდა მშობლიური ქალაქი, მისი ცხოვრებით ცხოვრობდი"...

,,მშვიდობით მასწავლებელო!"

საოცარი კაცი იყო, რამდენ სითბოს იტევდა მისი გული, რომელიც ოჯახის, ქვეყნის სასიკეთოდ ფეთქავდა.

ჩვენი თაობა მისგან სწავლობდა ქართველობას, ფოთელობას და ტრადიციებს"

დიდი გულისტკივილით ვწერ ახლა ამ სტრიქონებს. გარი მასწავლებელი ჩემი მასწავლებელიც იყო, კლასის დამრიგებელი იმ შორეულ 1954-56 წწ-ში. იგი როგორც მშობელი, როგორც ჭეშმარიტი მასწავლებელი გვზრდიდა. ვერ ვივიწყებ მას და მახარებს, რომ დღეს მისი მემკვიდრე, **აკაკი ჟღენტი** ამაყად დააბიჯებს ფოთის ქუჩებში და აგრძეზლებს მამის დაწყებულ საქმეს. იცის, კარგად იცის სად გაჩერდა გარი მასწავლებელი. რომ ფოთელობა დიდი პასუხისმგებლობაა და მას დაფასება უნდა.

გარი მასწავლებლის ხსოვნა კი ის ჩაუმქრალი ლამპარია, რომელიც ასე საჭიროა დღევანდელი ახალგაზრდობისათვის.

მაშ, ვილოცოთ და დავუნთოთ წმინდა სანთელი გარი მასწავლებელს, კაცს, რომელსაც ცხოვრებაში არაფერი შეშლია.

**ვანო ნარმანია**

**P.S** აქვე გთავაზობთ ინტერვიუს (შემოკლებით) გარი მასწავლებელთან, რომელიც ჩაწერილია 1997 წლის 27 მარტს გარი ჟღენტის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

## ,,100 წელი სპორტის სამსახურში". ,,ესტაფეტა გარი მასწავლებლის ხელთაა"...

ჩვენს ქალაქში მრავალმა ოჯახმა ათეული წლების განმავლობაში ბრწყინვალე ტრადიციები შექმნა. ამ ტრადიციებს სათუთად ინახავენ და აგრძელებენ თაობები. გვყავს ექიმების, ინჟინრების, მეზღვაურების, პედაგოგების ოჯახები, სადაც ბაბუების, ბებიების, მამების, დედების კვალზე მიაბიჯებენ უკვე თმაშევერცხლილი შვილები, შვილიშვილები...

ერთი ასეთი ოჯახია ფოთელებისთვის კარგად ცნობილი, ჟღენტების ოჯახი, რომლის წარმომადგენლებმა 100 წელზე მეტი უანგაროდ მოახმარეს ქართული სპორტის განვითარების საქმეს.

ესტაფეტა დღეს მრავალი თაობის აღმზრდელს გარი მასწავლებელს უპყრია ხელთ. უპყრია საიმედოდ და სასახელოდ. შარშან მას 70 წელი შეუსრულდა. სამწუხაროდ მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილებისათვის ეს თარიღი როგორღაც შეუმჩნეველი დარჩა.

ეს ინტერვიუც დაგვიანებულად მიგვაჩნია, რისთვისაც გვინდა ბოდიში მოვუხადოთ.

მაშ ასე რამდენიმე კითხვით მივმართავთ ამაგდარ პედაგოგს, სპორტის დაუღალავ ორგანიზატორს ჟღენტების ოჯახის ტრადიციების სასახელო გამგრძელებელს.

გარი მასწავლებელო, როდის და ვინ ჩაუყარა საფუძველი თქვენი ოჯახის სპორტულ ტრადიციებს?

- მამაჩემმა, აკაკი მელიტონის ზე ჟღენტმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სპორტს და ფიზიკურ კულტურას დაუკავშირა. იგი 1923 წლიდან წარმატებით ასპარეზობდა ფოთის საფეხბურთო გუნდებში, მუშაობდა სპორტული სკოლის დირექტორად, ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, სპორტსაზოგადოება ,,ვოდნიკის" თავმჯდომარედ. მან, პირველმა საქართველოში, ინგლისური მოდელის მიხედვით შეკერა საფეხბურთო ბუცი, სამამულო ომის აქტიური მონაწილე, რამდენიმე ორდენით და მედლითაც იყო დაჯილდოებული.

- მამის ცხოვრებამ ჩანს, გავლენა იქონია შვილების მომავალზე...

-უდაოდ, სპორტი სწორედ მან შეგვაყვარა. მე და ჩემმა ძმამ დონიმ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი დავამთავრეთ და როგორც მწვრთნელ-პედაგოგები მამის კვალს გავყევით. დონი 17 წელიწადი ემსახურა ფიზიკურ კულტურას და სპორტს, მუშაობდა ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში მწვრთნელად, შემდეგ საოკეანო თევზჭერის სამმართველოში საქმიანობდა. რაოდენ დასანანია, რომ ზღვებსა და ოკეანეებში გამოწრთობილი ვაჟკაცი პალიასტომის ტალღებს ემსხვერპლა...



- ჟღენტების ოჯახის სპორტული ტრადიციების გამგრძელებელი დღეს თქვენ ბრძანდებით.

-ვგონებ კი, აღვასრულე ჩემი ვალი. ნახევარი საუკუნეა ფოთელი ჭაბუკებისა და ქალიშვილების აღზრდის საქმეს ვემსახურები. ვარ ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდობის სპორტული სკოლის დირექტორი

რა საოცრად სწრაფად გაირბინეს წლებმა...

## ფეხბურთი

## ფოთი 13 მარტი

# პარკი არენა
# რაგბის სტადიონი 2 000მაყურებელი
# საქართველოს პირველობა XX ტური
# ,,კოლხეთი-1913" ფოთი-,,ტორპედო" ქუთაისი
# 2 : 0



დავიწყებ იმით, რომ ამ ღირსახსოვარ მოვლენას ფოთის სპორტულ ცხოვრებაში არავითარი საინფორმაციო უზრუნველყოფა არ მოყოლია. უფრო მეტიც, პოლიტიკურ გარჩევებს გადაყოლილი მოვლენების შედეგად აფიშაც კი არავის გახსენებია, რომ მოსახლეობისათვის ემცნოთ ამის შესახებ.

მიუხედავად ამისა პარკი-არენა (ჩვენც ასე მოვიხსენიოთ რაგბის სტადიონი) მაყურებელს ვერ იტევდა, რომელიც წინადღით ქართველი ,,ბორჯღალოსნების", გამარჯვებით აღფრთოვანებული, ფოთელი ფეხბურთელების გამარჯვებას მოელოდნენ.

ფოთელების მოლოდინი გამართლდა.

ფოთელ გულშემატკივართა ომახიანი შეძახილებით აღფრთოვანებული ,,კოლხეთის" ფეხბურთელებმა ყველა კომპონენტში აჯობეს ქუთაისელთა საკმაოდ ძლიერ გუნდს და რომ სპორტული ფორტუნა მათ მხარეს ყოფილიყო დიდი ანგარიშითაც დაამარცხებდნენ ,,ტორპედოელებს" თუმცა სამართლიანობით უნდა ითქვას, რომ ქუთაისლებსაც ქონდათ ერთი-ორი მომენტი ფოთელთა კარის აღებისა.



ამ გამარჯვებით ფოთელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ფოთი მართლაც საქართველოს ფეხბურთის აკვანია და მას მეტი ყურადღება სჭირდება. არვარგა მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების წინ გაახსენდეთ ფოთი როგორც ქართული ფეხბურთის აკვანი და მხოლოდ დაპირებებით კვებონ ფოთელები. მთელი საქართველოს სირცხვილია, რომ ფოთს, **ბორის პაიჭაძის,** ფეხბურთის კარუზოსა და **გიორგი ანთაძის,** საბჭოთაკავშირის დამსახურებული ფეხბურთელის ქალაქს არ ქონდეს ფეხბურთის სტადიონი და სამადლოთ თამაშობდეს ლანჩხუთის, ქობულეთის თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქების სტადიონებზე.

გვჯერა ჩვენი ქალაქის, ახალგაზრდა ფოთელი მერის **ირაკლი კაკულიასი**, რომელიც არაერთხელ დაპირდა ფოთელებს, რომ სექტემბერში ფოთში საზეიმოდ გაიხსნება ახალი, თანამედროვე, ევროპული ტიპის სტადიონი.

და ბოლოს, დიდი მადლობა ბატონ **ბიძინა ივანიშვილს,** რომ მოგვცა საშალება პარკი-არენას ამ შესანიშნავ კომპლექსში გვეხილა ეს ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრა.

ი. სპერი



## ქართული რაგბის დიდი წარმატება

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ევროპის ერთა თასის 2016 წლის გამარჯვებულია. 38:9 – ამ ანგარიშით დაამარცხეს „ბორჯღალოსნებმა" რუმინეთის ნაკრები. ქართველმა მორაგბეებმა, ევროპის ერთა თასთან ერთად, ანთიმოზ ივერიელის თასიც მოიპოვეს, რომელიც, ტრადიციულად, საქართველო-რუმინეთის ნაკრებთა დაპირისპირებაში თამაშდება.

ეს იყო მართლაც გმირული თავგანწირვა.

## იური ბურჭულაძის ხსოვნას



ჩვენი ქალაქის ტექნიკური ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა ერუდირებული, მრავალპროფილებიანი ინჟინერი, გამოცდილი სამეურნეო და პარტიული მუსაკი **იური გიორგის ძე ბურჭულაძე**.

ის ფოთის მკვიდრია, აქ დაიბადა, გაიზარდა და მთელი თავისი შინაარსიანი ცხოვრება დაუკავშირა საკუთარ ქალაქს. იყო ფრიადოსანი მოსწავლე და წარმატებული სტუდენტი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოაშურა თავის ქალაქს და მუშაობა დაიწყო ახლად ამუშავებულ ელექტრო აპარატის ქარხნის ახალგაზრდულ კოლექტივში. როგორც გონიერი ინჟინერი და ხელმძღვანელის ნიჭით დაჯილდოებული, მას მალე ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსად აწინაურებენ, აქვე შედის კომუნისტური პარტიის რიგებში და მალე ქარხნის პარტორგანიზაციის მდივნად ირჩევენ. ეს ეხლა ამ პერიოდშია საძრახისი და მიუღებელი, თორემ თავის დროზე ეს მეტად დიდი წარმატება მრავალმხრივი ნიჭის აღიარება იყო. სულ მალე იგი გადაყავთ პარტიის საქალაქო კომიტეტის აპარატში სამუშაოდ. შემდეგ ის გადაჰყავთ სამუშაოდ ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორად. თავისი სამეურნეო საქმიანობა **იური ბურჭულაძემ** დაასრულა ტრესტ ,,კოლხიდმშენის" მთავარი ენერგოტიკოსის თანამდებობაზე.

**იური ბურჭულაძე** ცნობილი იყო თავისი უნიკალური თვისებებით, გამოირჩეოდა ინჟინერული ცოდნით, პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობით და ორგანიზატორული ნიჭით. ყველა საქმეს ეკიდებოდა როგორც პროფესიონალი, იყო საქმის ერთგული და შესაშური შრომის მოყვარე. ჩუმად, უხმაუროდ იხარჯებოდა ხალხის სამსახურში. ის თავიდანვე ყველასათვის საყვარელი პიროვნება გახდა და ასე გალია მთელი თავისი ცხოვრება. კაცთმოყვარე, ბუნებით გულუხვი, ადამიანებზე მზრუნველი, ცდილობდა ყველასათვის გაეწოდებინა დახმარების ხელი, ყველას მხარში ამოდგომოდა. აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო შეუცვლელი ამხანაგობაში. პედაგოგის ოჯახში გაზრდილს, პატიოსნება და მაღალი ზნეობა მთავარ თვისებად ქცეოდა და ამაყად ატარებდა კაცური კაცის სახელს. კაცი ბერდება და უნდა წავიდეს ამქვეყნიდან-სხვა რაგზაა, მაგრამ ისეთი თვისებებით შემკული ადამიანისათვის როგორც იური ბურჭულაძეს ახასიათებდა 77 წელი ცხოვრებაც კი ძალზე ცოტაა. გინდა ასეთმა კაცმა უფრო დიდხანს იცოცხლოს და კიდევ რაზე გვტკივა გული მის მეგობრებსა და ახლობლებს ისაა, რომ მან დრო ვერ იპოვა საკუთარი ოჯახი და ქვეყნისათვის მასავით პატიოსანი შთამომავლობა დაეტოვებინა. ცხოვრების ეს მთავარი მიზანი მას შეუსრულებელი დარჩა.

შევუნდოთ მას ეს დანაშაული. ღმერთს შევავედროთ **იური ბურჭულაძეს** სასუფეველი იქ დაუმკვიდროს, სადაც მასავით პატიოსანნი განისვენებენ.

ამინ.

ახლო მეგობარი

ცხოვრება, რომელიც ხელოვნებას მიუძღვნა

## ანზორ კუტალეიშვილის ხსოვნას



**ანზორ კუტალეიშვილი** დაიბადა ქ. ფოთში 1951 წლის 24 ივნისს. ახალგაზრდულ წლებში ცეკვავდა სხვადასხვა ფოლკლორულ ანსამბლებში. 1977 წლიდან 1995 წლამდე მოღვაწეობდა ილიკო სუხიშვილის სახელობის ქორეოგრაფიულ სტუდიაში. პარალელურად მუშაობდა მე-7 საშუალო სკოლაში როგორც ქორეოგრაფიული ანსამბლის, ასევე გუნდის ხელმძღვანელად. აქტიურად მონაწილეობდა როგორც საქალაქო, ისე რესპუბლიკურ ოლიმპიადებში. 1995 წლიდან 2008 წლამდე იყო ნომერ პირველი საჯარო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი. მრავალი შიდა და საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსების ლაურეატი.

დაამთავრა ქ. ფოთის საგუნდო სადირიჟორო სასწავლებელი-სევე საქართველოს ქორეოგრაფიული სახალხო უნივერსიტეტი.

ფოთის კულტურულ ცხოვრებაში ანზორ კუტალეიშვილმა მიუხედავად არცთუ ხანგრძლივი ცხოვრებისა, მოასწრო თავისი კვალის დატოვება და ნამდვილად დააკლდა ქალაქს და ქვეყანას.

ბატონი ანზორი ინტელიგენტურ ოჯახში აღიზარდა. მამამისი გიორგი კუტალეიშვილი წლების მანძილზე სკოლის დირექტორი იყო პატარა ფოთისა და მარტვილის სკოლებში. დედა-ოზურგეთელი ქალბატონი პაშა მელიტონის ასული ჟღენტი კი ექთანი გახლდათ ვენდისპანსერში.ისინი კეთილსინდისიერად იღწვოდნენ მათთვის მინდობილ უბანზე. შვილებსაც პატიოსნებისა და ზომიერებისაკენ მოუწოდებდნენ მუდამ. ამიტომაც დაიზარდნენ ღირსეულ მოქალაქეებად. მათი ორი ვაჟი და ერთადერთი ქალიშვილი. უფროსი ვაჟი ზურაბი ეთნოგრაფი გახლდათ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. სამწუხაროდ რამოდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ქალიშვილი ლუიზა ჯერ ფოთის მუსიკალურ ტექნიკუმში სწავლობდა, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით. იგი ზუგდიდშია გათხოვილი და ამჟამად დადიანების სასახლის მუზეუმის დირექტორი გახლავთ.

ანზორს ბავშობიდანვე იტაცებდა ქართული ფოლკლორი, ცეკვავდა პიონერთა სახლთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლში. შემდეგ კი სიმღერისა და ცეკვის საქალაქო ანსამბლში, რომელსაც ლოტბარი **არჩილ ხორავა** და ქორეოგრაფები, მამა-შვილი **შოთა და მურთაზ ჩახავები** ედგნენ სათავეში. ამ ანსამბლთან ერთად გასტროლებით შემოვლილი აქვს საბჭოთა კავშირის ქალაქები და თვით დედაქალაქი მოსკოვიც.

სოლო პარტიებს ცეკვავდა, მართლაც სასიამოვნო შესახედავი იყო ცერებზე შემდგარი, წკნელივით პლასტიკური ახალგაზრდა, სახის დახვეწილი ნაკვთებით.

მეუღლლე სვეტა ბაღათურია განგებამ სცენაზე შეახვედრა მუდმივ პარტნიორად. გამორჩეული სილამაზით, ტალანტით.

მას შემდეგ 35 წელი დუეტს ცეკვავდნენ. ერთგულად ეწეოდნენ საოჯახო ჭაპანს. მართალია ცხოვრება მთლად ისე იავარდით მოფენილი არ გამოდგა, როგორც ჯეელობაში ვარდისფერი სათვალეებიდან ჩანდა, მაგრამ მათი სულიერი წონასწორობა და ერთობა არაფერს დაურღვევია.

ანზორმა მეუღლის გავლენით მუსიკალური ტექნიკუმი საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება დაამთავრა და წლების მანძილზე მე-7 საშუალო სკოლაში იმუშავა გუნდის ხელმძღვანელად, შემდეგ კი დაუსწრებლად დაამთავრა კულტურის ინსტიტუტის ქორეოგრაფიული განყოფილება და მთელი დანარჩენი ცხოვრება დაწყებული ჩახავების ქორეოგრაფიული სტუდიიდან, რომელიც 1977 წელს გაიხსნა, სწორედ ქორეოგრაფიას მიუძღვნა. პირველ სკოლასთან არსებულ სტუდიაში და **მალხაზ მაკარაძესთან** ერთად აზიარებდა მოზარდებს ქართული ცეკვის საიდუმლოებას.

სვეტასა და ანზორის ცხოვრების რეალობა კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ოჯახის მთლიანობა კეთილდღეობაზე კიარა უპირველესად სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული. ვერანაირი განსაცდელი ვერ დააშორებს სიყვარულით შედუღაბებულ გულებს.

სამწუხაროდ დაირღვა ეს იდილია, ხსოვნაში გადავიდა დიდი კაცი და ხელოვანი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი დიდებული სული.

მეგობრები

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი
ზ. აბრალავა